პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТБ КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 87 (11091) | კვირა. 13 აპრილი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიად შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო წ ო დ ე ბ ა ნ ი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა 1958 წლის 1 მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!

2. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

3. საერთაშორისო პროლეტარიატის საბრძოლო სოლიდარობა სოციალიზმის საქმის უძლეველობის საწინდარია! უფრო მაღლა ავწიოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა!

4. ძმური სალამი ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის!

5. ყველა ქვეყნის მშრომელებო! იბრძოლეთ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის! ყველამ ვიბრძოლოთ ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის!

6. მსოფლიოს ხალხებო! საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა. მოითხოვეთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებისაგან დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა ყველგან და სამარადისოდ!

7. გაუმარჯოს ყველა ქვეყნის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ავანგარდს! დაე განმტკიცდეს მათი ძმური თანამშრომლობა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში!

8. გაუმარჯოს და განმტკიცდეს ყველა ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელთა მოქმედების ერთიანობა! დაე გაფართოვდეს კომუნისტების, სოციალისტებისა და მთელი პროგრესული ძალების თანამშრომლობა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

9. გაუმარჯოს ძლევამოსილ სოციალისტურ ბანაკს — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საიმედო ბურჯს! დაე განმტკიცდეს და აყვავდეს სოციალისტური ქვეყნების ხალხთა დიადი თანამეგობრობა!

10. ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს — სოციალიზმის მშენებელს! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას — მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრ ბურჯს!

11. ძმური სალამი ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და ალბანელ ხალხს შორის ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

12. ძმური სალამი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და ბულგარელ ხალხს შორის ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

13. ძმური სალამი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და უნგრელ ხალხს შორის ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

14. ძმური სალამი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც აშენებენ ახალ ცხოვრებას, იბრძვიან თავიანთი ქვეყნის ეროვნული გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და ვიეტნამელ ხალხს შორის ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

15. გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — მთელი გერმანიის მშვიდობისმოყვარე ძალების ბურჯს, ძალებისა, რომლებიც იბრძვიან მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, თავიანთი სამშობლოს გაერთიანებისათვის მშვიდობიან, დემოკრატიულ საფუძველზე! ძმური სალამი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ!

ძმური სალამი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელებს და მთელ პროგრესულ, მშვიდობისმოყვარე ძალებს, რომლებიც იბრძვიან მილიტარიზმისა და ბუნდესვერის ატომური შეიარაღების წინააღმდეგ!

დაე მტკიცდებოდეს მეგობრობა საბჭოთა ხალხსა და გერმანელ ხალხს შორის ევროპის მშვიდობის საკეთილდღეოდ!

16. ძმური სალამი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც აშენებენ სოციალიზმს, იბრძვიან თავიანთი ქვეყნის ეროვნული გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და კორეელ ხალხს შორის ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

17. ძმური სალამი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და მონღოლ ხალხს შორის ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

18. ძმური სალამი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და პოლონელ ხალხს შორის ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

19. ძმური სალამი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და რუმინელ ხალხს შორის ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

20. ძმური სალამი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხალხებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხსა და ჩეხოსლოვაკიელ ხალხს შორის ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

21. ძმური სალამი იუგოსლავიის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

22. ძმური სალამი დიდ ინდოელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი სამშობლოს პროგრესისათვის, აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის! დაე მტკიცდებოდეს მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხებს შორის!

23. ძმური სალამი ინდონეზიის ხალხს, რომელიც იცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას უცხოელი იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ ბრძოლაში!

24. ძმური სალამი ბირმის, ცეილონის, კამბოჯის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისა და თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის!

25. გაუმარჯოს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას — მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის საწინდარს!

26. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და იტალიის ხალხებს შორის!

27. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობასა და თანამშრომლობას, რომლებსაც საფუძვლად უდევს ხალხთა თანასწორუფლებიანობა, ურთიერთ ნდობა და პატივისცემა!

28. დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა ხალხსა და შვეიცის, ნორვეგიის, დანიის, ისლანდიის ხალხებს შორის!

29. გაუმარჯოს მეგობრობასა და თანამშრომლობას საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ხალხებს შორის!

30. მხურვალე სალამი იაპონელ ხალხს, რომელიც იბრძვის მილიტარიზმის წინააღმდეგ, თავისი ქვეყნის მშვიდობიანი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი განვითარებისათვის!

31. მხურვალე სალამი არაბული აღმოსავლეთის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტთა ახალი კოლონიზატორული გეგმების წინააღმდეგ, თავიანთ სახელმწიფოთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის!

32. მხურვალე სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

33. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ყველა ქვეყანასთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას!

34. გაუმარჯოს გამარჯვებათა დიდებით მოსილ მამაც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც დგანან ჩვენი სამშობლოს უშიშროების სადარაჯოზე!

35. გაუმარჯოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირს — საბჭოთა წყობილების ურყევ საფუძველს!

36. გაუმარჯოს და აყვავდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა — ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყარო!

37. მუშებო, კოლმეურნეებო, ინტელიგენციავ! დავრაზმოთ მთელი ძალები ჩვენი პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის!

38. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება! დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ!

39. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო სრულად გამოიყენეთ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალი სისტემის უპირატესობანი, გამოავლინეთ და აამოქმედეთ საწარმოთა და მშენებლობათა რეზერვები!

40. სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაკებო! აუმჯობესეთ მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობა, იბრძოლეთ სახელმწიფო დისციპლინის დაცვისა და საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის, სოციალისტური ინდუსტრიის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის!

41. მძიმე მრეწველობა მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლების, ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცების საფუძველია! დიდება მძიმე ინდუსტრიის მუშაკებს!

42. მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! დანერგეთ წარმოებაში მოწინავე გამოცდილება, იბრძოლეთ ტექნიკური პროგრესისათვის და შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის!

43. მუშებო, ინჟინრებო, ტექნიკოსებო და ოსტატებო! მტკიცედ დანერგეთ ახალი ტექნიკა! აუმჯობესეთ წარმოების ორგანიზაცია, უზრუნველყავით საწარმოთა რიტმული მუშაობა, განამტკიცეთ შრომის სოციალისტური დისციპლინა!

44. საბჭოთა ინდუსტრიის მშრომელნო! იბრძოლეთ მომჭირნეობის რეჟიმისათვის, გაუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი და შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

45. საბჭოთა მეტალურგებო! აუმჯობესეთ წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგია, უფრო სრულად გამოიყენეთ საწარმოთა რეზერვები! მეტი მადანი, თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფერადი და იშვიათი ლითონები მივცეთ სახალხო ეკონომიკას!

46. მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშაკებო! უფრო სწრაფად შექმენით და აითვისეთ ახალ სახეობათა მაღალი წარმადობის მოწყობილობა და ხელსაწყოები, მტკიცედ იბრძოლეთ მოწინავე ტექნიკით სახალხო მეურნეობის აღჭურვისათვის!

47. სათბობის მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ქვანახშირი, ნავთობი და გაზი!

48. საბჭოთა ენერგეტიკოსებო, ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების მშენებლებო და მემონტაჟეებო! უფრო სწრაფად აამოქმედეთ და აითვისეთ ახალი ენერგეტიკული სიმძლავრენი! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ელექტროენერგია!

49. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! უფრო სწრაფად აამუშავეთ ახალი სიმძლავრენი, გაადიდეთ პლასტიკური მასების, სინთეზური და ხელოვნური ბოჭკოს, სინთეზური კაუჩუკის წარმოება!

50. საბჭოთა მშენებლებო! უფრო ფართოდ დანერგეთ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები! გააძლიერეთ ახალი სამრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოების, სკოლებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების მშენებლობის ტემპები და გააუმჯობესეთ მისი ხარისხი!

51. საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ ჩვენი სამშობლოს მშენებლობებისათვის საშენ მასალათა წარმოება და გააუმჯობესეთ მათი ხარისხი!

52. სატყეო, ხის დამმუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის მუშაკებო! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მაღალი ხარისხის ხე-ტყის მასალა, ავეჯი და ქაღალდი!

53. მსუბუქი მრეწველობის მუშაკებო! გამოვუშვათ მოსახლეობისათვის მეტი კარგი ხარისხისა და ლამაზი ქსოვილები, კარგი ტანსაცმელი, მკვიდრი, ლამაზი ფეხსაცმელი და სხვა საქონელი!

54. სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გაფართოეთ მოსახლეობისათვის კვების პროდუქტების წარმოება და გააუმჯობესეთ მათი ხარისხი!

55. თევზის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ თევზის ჭერა, გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი და შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

56. საბჭოთა ტრანსპორტის მუშაკებო! უზრუნველყავით ტვირთების შეუფერხებელი გადაზიდვა, გააუმჯობესეთ მგზავრთა მომსახურება! მტკიცედ დანერგეთ ახალი ტექნიკა!

57. კავშირგაბმულობის მუშაკებო! დაუცხრომლად განავითარეთ და გააუმჯობესეთ კავშირგაბმულობის საშუალებანი! იბრძოლეთ ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოსა და ტელევიზიის უნაკლო მუშაობისათვის! გააუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურება!

58. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! კანონი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი ზრდის ახალ შესანიშნავ პერსპექტივებს სახავს. მტკიცედ იბრძოლეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც პარტიამ შეიმუშავა!

59. სოფლის მეურნეობის მექანიზატორებო! უკეთ გამოიყენეთ ტექნიკა! აამაღლეთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე და ხარისხი! უფრო ფართოდ გამოიყენეთ ნოვატორთა გამოცდილება!

60. კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და მტს-ების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება და შეამცირეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თვითღირებულება!

მივცეთ სამშობლოს მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, ბამბა, მატყლი, სელი, ჭარხალი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები!

61. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! ყოველი ღონისძიებით განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა, შეუქმენით მას მტკიცე საკვები ბაზა, გაადიდეთ პირუტყვის პროდუქტიულობა! უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ!

62. ყამირი მიწების მშრომელებო! განამტკიცეთ მიღწეული წარმატებანი და იბრძოლეთ ყამირის შემდგომი ათვისებისათვის, მიაღწიეთ მარცვლეულს უხვ და მყარ მოსავალს, განავითარეთ მეცხოველეობა!

63. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! წარმატებით დავამთავროთ საგაზაფხულო თესვა, მივაღწიოთ 1958 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვ მოსავალს!

64. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებო! იბრძოლეთ მომსახურების მაღალი კულტურისათვის, უფრო სრულად დაკმაყოფილეთ მშრომელთა მოთხოვნილებანი!

65. საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო! აუმჯობესეთ საბჭოთა აპარატის მუშაობა! გადაჭრით აღკვეთეთ ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება! გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს!

66. საბჭოთა მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებო! იბრძოლეთ მეცნიერების შემდგომი აყვავებისათვის, აამაღლეთ მისი როლი ტექნიკურ პროგრესში, გააუმჯობესეთ სპეციალისტთა მომზადება! გაუმარჯოს მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას — სოციალიზმის პირმშოს!

67. დიდება საბჭოთა მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, რომლებმაც განახორციელეს დედამიწის მსოფლიოში პირველი ხელოვნური თანამგზავრების გაშვება, გზა გაუკაფეს კოსმოსის სივრცის ათვისებას!

68. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენო! ამრავლეთ ჩვენი ქვეყნის სულიერი სიმდიდრენი! იბრძოლეთ ნაწარმოებთა მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის! ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო, განუყრელი კავშირისათვის!

69. სახალხო განათლების მუშაკებო! გააუმჯობესეთ ბავშვების სწავლების ხარისხი, იბრძოლეთ სკოლის პოლიტექნიზაციისათვის! აღზარდეთ ახალგაზრდა თაობა საბჭოთა სამშობლოსადმი, კომუნიზმის საქმისადმი სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით!

70. მედიცინის მუშაკებო! აუმჯობესეთ და განავითარეთ სახალხო ჯანმრთელობის დაცვა, აამაღლეთ სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებათა მუშაობის კულტურა! დანერგეთ პრაქტიკაში მედიცინის მეცნიერების მიღწევები!

71. გაუმარჯოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს — ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების ნამდვილად სახალხო ორგანოებს! გაუმარჯოს სოციალისტურ დემოკრატიას!

72. საბჭოთა პროფკავშირებო! განავითარეთ მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა, უფრო ფართოდ ჩაებით მუშები წარმოების მართვაში! დაუცხრომლად იზრუნეთ მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის!

73. გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

74. გაუმარჯოს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

75. ქალიშვილებო და ჭაბუკებო! იყავით ჩვენი დიდი ხალხის ღირსეული შვილები, კომუნიზმის დაუცხრომელი მშენებლები!

76. პიონერებო და მოსწავლეებო! იყავით შრომისმოყვარენი და დისციპლინიანნი! გულმოდგინედ და მტკიცედ დაეუფლეთ ცოდნას! ემზადეთ იმისათვის, რომ გახდეთ ლენინის დიადი საქმისათვის აქტიური მებრძოლნი!

77. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში!

78. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კომუნისტური პარტიისა და ხალხის ერთიანობა სოციალისტური წყობილების ძალის წყაროა, კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა საწინდარია! გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას!

79. გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

80. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის გმირ მუშათა კლასს!

81. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სახელოვან კოლმეურნე გლეხობას!

82. გაუმარჯოს ჩვენს სახალხო, საბჭოთა ინტელიგენციას!

83. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ციხე-სიმაგრეს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის უძლეველ ბურჯს!

84. გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

85. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიად შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

86. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

87. გაუმარჯოს კომუნიზმს — მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სამახსოვრო ბარათი

საბჭოთა მთავრობისა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობებისადმი მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის საკითხზე

როგორც პრესაში ვიუწყებოდით, 24 მარტს სსრ კავშირის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა სამახსოვრო ბარათი მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის საკითხზე. სამახსოვრო ბარათის პირები ამავე დროს გადაეცა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს.

31 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საელჩოებმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცეს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა ანალოგიური შინაარსის განცხადებანი, რომლებიც გაკეთებულია უმაღლეს დონეზე თათბირისათვის მზადების დაჩქარების შესახებ საბჭოთა მთავრობის იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რასაც შეიცავს 24 მარტის სამახსოვრო ბარათი.

11 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ლ. ე. ტომპსონი, საფრანგეთის ელჩი მ. დეჟანი და სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული უ. ჰ. იანგი და გადასცა მათ საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათი.

ქვემოთ ქვეყნდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 31 მარტის განცხადებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის 11 აპრილის სამახსოვრო ბარათის ტექსტები.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 31 მარტის განცხადება

ახლანდელი საერთაშორისო ვითარება მოითხოვს, რომ განხორციელდეს სერიოზული ღონისძიება შეთანხმების მისაღწევად ძირითად პრობლემებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მშვიდობისა და მსოფლიოს სტაბილობის უზრუნველყოფაზე. ამ პირობებში სასურველია თათბირის მოწვევა უმაღლეს დონეზე, თუ ეს თათბირი შესაძლებელს გახდის, რომ მოეყოს ძირითადი პრობლემების სერიოზული განხილვა და ეფექტიანი საშუალება იქნება დიდმნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმების მისაღწევად.

ცხადია, რომ სანამ ამ პირობებში შესაძლებელი გახდება გაიმართოს თათბირი უმაღლეს დონეზე, საჭიროა მოსამზადებელი მუშაობა.

ეს მოსამზადებელი მუშაობა ყველაზე უკეთ შეიძლება განხორციელდეს დიპლომატიური არხების საშუალებით აზრთა გაზიარების გზით, რომელსაც უნდა მოჰყვეს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა.

ამ მოსამზადებელი მუშაობის მთავარი მიზანი უნდა იყოს ძირითად მოუწესრიგებელ საკითხებზე სხვადასხვა მთავრობის პოზიციათა განხილვა და იმის გარკვევა, თუ რა პრობლემები უნდა გადაეცეს მთავრობათა მეთაურებს განსახილველად. ამ მოსამზადებელი მოლაპარაკების მიზანი გადაწყვეტილებათა მიღება კი არ იქნება, არამედ ზოგადი დისკუსიის საშუალებით შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობის გამორკვევა.

საგარეო საქმეთა მინისტრები, თუ ისინი დაამთავრებენ მოსამზადებელ მუშაობას და დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ მას, მიაღწევენ შეთანხმებას უმაღლეს დონეზე თათბირის დროისა და ადგილის შესახებ და გადაჭრიან მისი შემადგენლობის საკითხს.

თუ ეს პროცედურა საბჭოთა მთავრობისათვის მისაღებია, არის წინადადება დაიწყოს დიპლომატიური მოლაპარაკება მოსკოვში აპრილის მეორე ნახევარში.

საბჭოთა მთავრობის 11 აპრილის სამახსოვრო ბარათი

საბჭოთა კავშირის მთავრობამ მთელი ყურადღებით განიხილა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა 31 მარტის ერთობლივი განცხადება, რომელიც გაკეთებულია უმაღლეს დონეზე თათბირისათვის მზადების დაჩქარების შესახებ საბჭოთა მთავრობის იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რასაც შეიცავს საბჭოთა მთავრობის 1958 წლის 24 მარტის სამახსოვრო ბარათი.

საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ თუმცა სამი სახელმწიფოს მთავრობები აცხადებენ, რომ ახლანდელი საერთაშორისო ვითარება სერიოზულ ღონისძიებათა განხორციელებას მოითხოვს, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება ძირითად საერთაშორისო პრობლემათა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების შესახებ და სასურველად ხდის უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევას. მაგრამ არსებითად ისინი თავს არიდებენ პასუხს საბჭოთა კავშირის კონკრეტულ წინადადებებზე ასეთი თათბირის მოწვევის შესახებ, რომლებიც გაკეთდა ჯერ კიდევ 1957 წლის დეკემბერში.

როგორც აღინიშნა საბჭოთა მთავრობის ამა წლის 28 თებერვლისა და 24 მარტის სამახსოვრო ბარათებში, ამჟამად მთავარი ამოცანაა რაც შეიძლება მალე დამთავრდეს მოსამზადებელი მუშაობა უმაღლეს დონეზე თათბირისათვის. ამ მუშაობის შესასრულებლად საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა აპრილშივე მომხდარიყო.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სამი სახელმწიფოს მთავრობებს ისე მიჰყავთ საქმე, რომ გაჭიანურდეს მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე თათბირის მომზადების შესახებ.

ამჟამად უმაღლეს დონეზე თათბირის მოსაწვევად მოსამზადებელი მუშაობის რაც შეიძლება მალე დამთავრების მიზნით, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, უწინარეს ყოვლისა, შეთანხმებულ იქნას ის საკითხი, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა მოეწყოს არაუგვიანეს ამა წლის აპრილის დამლევის — შუა მაისისა. ამასთან იგულისხმება, რომ მთელი მოსამზადებელი მუშაობა დიპლომატიური არხებით უნდა დამთავრდეს ამ დროისათვის. ამიტომ საბჭოთა მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია დიპლომატიური არხებით აზრთა გაზიარება შეიზღუდოს მინიმუმი საკითხებით, რომლებიც ეხება უშუალოდ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის მოწყობას. სახელდობრ — მინისტრთა შეხვედრის დროისა და ადგილის, მის მონაწილეთა შემადგენლობის საკითხებით.

ესწრაფოდა რა იმას, რომ რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო უმაღლეს დონეზე თათბირისათვის მოსამზადებელი მუშობა, საბჭოთა კავშირმა, როგორც ცნობილია, დიდი ხანია შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა განსახილველად თავისი წინადადებანი უმაღლეს დონეზე თათბირის დღის წესრიგის, მონაწილეთა შემადგენლობისა და ადგილის და დროის საკითხზე. საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები უახლოეს ხანში გასცემენ გარკვეულ პასუხს ამ კონკრეტულ წინადადებებზე.

რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას, მინისტრებმა, საბჭოთა მთავრობის აზრით, უნდა შეათანხმონ უმაღლეს დონეზე თათბირის დროის, ადგილისა და მონაწილეთა შემადგენლობის საკითხი, აგრეთვე გაარკვიონ იმ საკითხთა წრე, რომლებსაც ეს თათბირი განიხილავს. ამასთან გამორიცხული არ არის, რომ მინისტრებს უმაღლეს დონეზე თათბირის მომზადებისათვის მუშაობის დროს საჭიროების შემთხვევაში და საერთო თანხმობით შეუძლიათ მოაწყონ აზრთა გაზიარება ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც მხარეთა წინადადებით შეტანილ უნდა იქნას უმაღლეს დონეზე თათბირის დღის წესრიგში, იმ მიზნით, რომ გამოარკვიონ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ამა თუ იმ საკითხის შეტანა ამ თათბირის დღის წესრიგში.

თავისთავად იგულისხმება, რომ უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის საკითხი არ შეიძლება დაუკავშირდეს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის ამა თუ იმ შედეგებს. საბჭოთა მთავრობა იმას ითვალისწინებს, რომ ამ შეხვედრის ყველა მონაწილე ეცდება დადებითი შედეგების მიღწევას. საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ ყველაფერს გააკეთებს, რაც კი შესაძლებელია, ამ მიზნის მისაღწევად. მაგრამ თუ მინისტრებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას უმაღლეს დონეზე თათბირის მომზადების საკითხებზე, ეს არამც და არამც იმის მომასწავებელი არ იქნება, რომ ასეთი თათბირი ახლა ნაკლებ საჭიროა. ახლანდელი დაძაბული საერთაშორისო ვითარება მოითხოვს რაც შეიძლება მალე მოწესრიგდეს მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები და ამ პირობებში სწორი არ იქნება უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის საკითხი დაუკავშირდეს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შედეგებს. საისებით ნათელია, რომ სიძნელეები, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას მინისტრების შეხვედრის ოროს, შეიძლება დაძლეულ იქნას და კიდევაც უნდა იქნას დაძლეული უფრო ფართო რწმუნებებით აღჭურვილი სახელმწიფო მოღვაწეთა თათბირზე.

საბჭოთა მთავრობა, ხელმძღვანელობს რა ზემოაღნიშნულით, აცხადებს, რომ მზად არის დაიწყოს 17 აპრილს აზრთა გაზიარება მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის მომზადების შესახებ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინდოეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი

12 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინდოეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი კ. პ. შ. მენონი და საუბარი ჰქონდა მასთან. (საკვლევი).

სრულიად საკავშირო თათბირი მშენებლობის საკითხებზე

11 აპრილს 15 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა მშენებლობის საკითხებზე სრულიად საკავშირო თათბირის პლენარული სხდომა.

თათბირის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ა. ბ. არისტოვს, ლ. ი. ბრეჟნევს, კ. ე. ვოროშილოვს, ნ. გ. იგნატოვს, ა. ი. კირიჩენკოს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ი. მიკოიანს, ნ. ა. მუხიტდინოვს, მ. ა. სუსლოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვს, ა. ნ. კოსიგინს, როცა ისინი პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

სხდომაზე დაიწყო კამათი სსრ კავშირის მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ვ. ა. კუჩერენკოს და სსრ კავშირის მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ს. ზ. გინზბურგის მოხსენებათა გამო.

სიტყვებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ბუტუსოვი, სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კარავაევი, მოსკოვის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის არქიტექტურისა და დაგეგმვის სამმართველოს მთავარი ინჟინერი ამხ. ლაგუტენკო, და სხვ.

12 აპრილს თათბირი მუშაობას განაგრძობს. (საკვლევი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შენობაში გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიებისა და დეპუტატის ოთახი. ამ ღონისძიების მიზანია ხელის შეწყობა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობისათვის, დეპუტატების მიერ ამომრჩეველთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისათვის აქ წარმოდგენილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ინფორმაციები მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. საპირველი შემთხვევაში დეპუტატები აქ მიიღებენ ამომრჩეველს. დეპუტატების მოთხოვნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის მუშაკები უზრუნველყოფენ მათ საჭირო ცნობებით, მასალებით მათთვის საინტერესო საკითხებზე. აქ მოეწყობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები. დეპუტატს შეუძლია დაესწროს ამა თუ იმ კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით.

ოთახში არის ლიტერატურა საბჭოების, მუდმივი კომისიების, დეპუტატების მუშაობაზე და სხვა საკითხებზე.

(საკვლევი).

ფელეტონი „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“

ჯამში ჩავარდნილ ლუკმათა

ამ დღეებში ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში წარმოადგინეს იბალი სპექტაკლი ადგილობრივი ცხოვრებიდან „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“. დადგმა ეკუთვნის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის (არა თეატრის) გამგეობას. ვინაიდან როგორც პიესამ, ისე სპექტაკლმა მაყურებელთა დიდი გამოხმაურება გამოიწვია, ჩვენი გაზეთის რედაქციამ გადაწყვიტა გამოაქვეყნოს ნაწყვეტები პიესიდან, მაგრამ ჯერჯერობით ვაქვეყნებთ მთავარ მოქმედ პირთა დახასიათებას.

გიორგი ჯილაძე — კოლმეურნეობის ბუხჰალტერი, საშუალო ხნის კაცი, მაღალი, საკმაოდ ჩასუქებული, მელოტი. განსაკუთრებით უყვარს თონეში შემწვარი გოჭი, მაყალზე აშიშხინებული ღორის სუკები, ძრობის არტალა, ქინძმარაული. უყვარს აგრეთვე (დროდადრო) ყალბი დოკუმენტების მიღება. ამას წინათ მეღორეობის ფერმაზე გაცემული 26.490 კილოგრამი დანაგვიანებული სიმინდი ჩამოსწერა, როგორც საკვები მარცვალი(!). ლაპარაკობს ბობი ხმით და ეტანება მწნილეულს (ღვინის დალევის მეორე დღეს). ეჯავრება გაჭიანურებული სადღეგრძელოები. ერიდება სუფრის წევრთა გადაჭარბებულ ქებას. მეოთხმეტე ჭიქის შემდეგ ეტყობა გამხიარულება.

ნიკო ერგეშიძე — მეძროხეობის ფერმის გამგე, ცნობილი ილუზიონისტი — მეცხოველე, ურძეოდ ასრულებს წვეულებების გეგმებს. 125.700 ლიტრი რძიდან სახელმწიფოს ჩააბარა მხოლოდ 64.880 ლიტრი. 31.302 ლიტრი ისე გაფორმა, ვითომ ხბოებმა დალიეს (საწყალი ხბოები!). გარდა რძისა, უყვარს ღვინოც. „დიდ“ ყურადღებას აქცევს პირუტყვის გამოზამთრებას. ბუხჰალტრის დახმარებით ყალბი დოკუმენტების შედგენის გზით ვადაზე ადრე „ჩადო“ 5.682 ცენტნერი სილოსი, „დაამზადა“ 6.250 ცენტნერი ნამჯა, 3.798 ცენტნერი თივა და 540 ცენტნერი ქეჩეჩი.

ნიკო მამაიაშვილი — მეღორეობის ფერმის გამგე, დაბალი, პირმრგვალი, ჭალარა კაცი. პატიოსანი ადამიანის იერი აქვს, თითქოს ბუზს არ ააფრენსო. სალმის დროს უყვარს ხელის ჩამორთმევა, — ეტყობა, რომ სამუშაოდან ახლადმოხსნილი უნდა იყოს. ხშირად იტყვის ხოლმე, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო. ეყრდნობოდა რა ამ ანდაზას, კოლმეურნეობის ბუხჰალტერს ურჩია მეღორეობის ფერმის გამგედ თავისი დისწული მოეწყო. კიდეც მიაღწია მიზანს. არ უყვარს დაიკლოს სადღეგრძელო, სამაგიეროდ გასული წლის დეკემბრისათვის დააკლდა 11.100 კილოგრამი სიმინდი, 200 კილოგრამი კოპტონი, 2.820 კილოგრამი ხორბალი, 4.500 კილოგრამი საზამთრო, 2.500 კილოგრამი საკენკი ხორბალი და 60 კილოგრამი ქეჩი. მეღორეობის ბრიგადირ გ. ერგეშიძეს და მწყემს ი. რცხილაძეს მოტყუებით მოაწერინა ხელი 2.333 კილოგრამი სიმინდის ხარჯვაზე. მეტად სულგრძელი ადამიანია. შეიცოდა კერძო პირების 160 სული ღორი და თავის საკუთარ ღორებთან ერთად საკოლმეურნეო ფერმაში გააერთიანა, 6 თვის მანძილზე კოლმეურნეობის ფურაჟით კვებავდა. სამაგიეროდ ასეთი სულგრძელობისათვის რწმუნებულთა კრებამ თვით მამაიაშვილი შეიცოდა, როცა მას 13 სული ბურვაკი დაკლდა: ბურვაკები გოშებად ჩაუთვალა.

იროდიონ ასაბაშვილი — ვეტექიმი, ძალიან უყვარს მუქთი პურმარილი. ამის გულისათვის ზოგჯერ საქმესაც ღალატობს. ერთხელ შეატყობინეს კოლმეურნეობის ძროხა „ლიზა“ მშობიარობის დროს ავად გახდა, შეიძლება მუცელს გადაჰყვეს, უშველე რამეო. მაგრამ თითიც არ გაანძრია. უყურადღებობით „ლიზა“ მართლაც მუცელს გადაჰყვა, რადგან თვითონ ვეტექიმი მუცელს იყო გადაყოლილი — პურმარილს შეეჭცეოდა. ეს ძროხა ისედაც შეურაცხყვეს: როცა 9.000 მანეთად იყიდეს, 1 ტონას იწონიდა, რომ შეატყვეს, მშობიარობის დროს კვდებოდა, დაკლეს და აქტი შეადგინეს, ვითომ 300 კილოგრამი იყო. ამ აქტზე ვეტექიმმაც მოაწერა ხელი. შესყიდვამდე ძროხა 20 ლიტრ რძეს იწველიდა, შესყიდვის შემდეგ კი — მარტო 7 ლიტრს(!) ასეა საბუთების მიხედვით. საბუთებს კი დიდ პატივს სცემს ვეტექიმი.

არჩილ ნემსაძე — კოლმეურნეობის გამგეობის წევრი, კოლმეურნეობის დავალებათა „უბადლო შემსრულებელი“. ერთხელ 240 გოჭის გაყიდვა დაავალეს. ეს დავალება კარგად შეასრულა: თვითეული გოჭი, რომელიც სამ კილოგრამზე ნაკლებს არ იწონიდა, ნახევრიდან ერთ კილოგრამამდე ჩათვალა და საფასურის განსხვავება ჯიბეში ჩაიჩხრიალა. სარფიანი საქმის მოთავების შემდეგ უყვარს სუფრაზე შეღიღინება; განსაკუთრებით მოსწონს სიმღერა „მასვი, მაჭამე, მალხინე...“

კაკო კაკაშვილი — ყოფილი საწყობის გამგე, ახალგაზრდა, გამხდარი კაცი. აცვია ძალიან უბრალო ტანსაცმელი, ვითომ ღარიბია. გავლენიან პირთა მფარველობაში იმყოფება, ამიტომ უყვარს თქმა: „თუ ღმერთი მწყალობს, ეშმაკები რას დამაკლებენო“. ეჯავრება სიტყვა „ინვენტარიზაცია“, რადგან ინვენტარიზაციის დროს 24 ათასი მანეთის დანაკლისი აღმოაჩინდა. მართალია, პასუხი არ მოუთხოვიათ, თანხის ნაწილი კიდეც ჩამოწერეს, მაგრამ მაინც ეშინია: სახლში სტუმარი რომ მოდის, ჰგონია დასაჭერად არის მოსულიო. ამიტომ სტუმრებს ერიდება.

* * *

პირველი მოქმედება წარმოებს კოლმეურნეობის კანტორაში, მეორე — მეღორეობის ფერმის გამგის ოჯახში, ხოლო მესამე — სასურველია სასამართლოში.

ს. არღუნელი,
გ. ხეჩუაშვილი.

მშრომელთა წერილებს ეხმაურებიან

„ჩამწყობი № 9“

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი შეეხებოდა თბილისის შოკოლადის ფაბრიკაში არსებულ უწესრიგობას მზა პროდუქციის შეფუთვის საქმეში. წერილი კონკრეტული მაგალითებით ამხილებდა ჩამწყობი ვ. ალიხანოვის ბნელ, დანაშაულებრივ საქმიანობას.

პარტიის 26 კომისრის რაიკომის ბიურომ ამ წერილთან დაკავშირებით იმსჯელა ფაბრიკაში შექმნილ მდგომარეობაზე და სათანადო ზომები მიიღო ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ფაბრიკის დირექტორს ვ. ელისაბედაშვილს დაედო პარტიული სასჯელი. ჩამწყობი № 9 ვ. ალიხანოვი მოხსნილია სამუშაოდან.

ვ. ი. ლენინის დაბადების 88 წლისთავისათვის

ქართველი კომუნისტების მიმოწერა ვ. ი. ლენინთან

ვ. ესაიაშვილი

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს — ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის დამაარსებელსა და გენიალურ ბელადს—უაღრესად მჭიდრო და სისტემატური კავშირი ჰქონდა საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან, იგი პირადად იცნობდა საქართველოს ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა დიდ ნაწილს, ბევრ მათგანთან ახლო ურთიერთობა და პირადი მეგობრობა ჰქონდა.

ქართველი კომუნისტები ხშირად წერილობით მიმართავდნენ ვ. ი. ლენინს რევოლუციურ მუშაობასთან დაკავშირებულ თეორიისა და პრაქტიკის სხვადასხვა საკითხებზე. სთხოვდნენ მითითებებს, დახმარებას და ყოველთვის სიამოვნებით იღებდნენ ბელადის ბრძნულ რჩევა-დარიგებას, პირნათლად ასრულებდნენ ძვირფასი მასწავლებლისა და ხელმძღვანელის ყოველგვარ დავალებას.

ამ შესანიშნავი მიმოწერის ბევრი დოკუმენტი, არალეგალური მუშაობის პირობების გამო, სამწუხაროდ, არ შემონახულა, ზოგიც ჯერჯერობით გამოვლინებული არ არის. ასე რომ აქ განხილული წერილები მხოლოდ ნაწილია მთელი იმ მიმოწერისა, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი.

აქ წარმოდგენილი წერილებიდან ბევრი ახლად აღმოჩენილია და სრულიად უცნობია მკითხველისათვის.

ვ. ი. ლენინთან ამ მიმოწერის დოკუმენტებს ფასდაუდებელი მეცნიერული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. ისინი, ჯერ-ერთი, ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა გამუდმებით ზრუნავდა ვ. ი. ლენინი საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებზე, როგორ ზრდიდა და აწრთობდა ქართველ კომუნისტებს და წარმართავდა მათს მუშაობას: მეორეც, ეს წერილები ნათელს ჰფენენ არა მარტო საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების მუშაობის, არამედ მთელი ჩვენი კომუნისტური პარტიისა და მისი დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მოღვაწეობის ბევრ უმნიშვნელოვანეს მომენტს.

დღემდე გამოვლინებული და შესწავლილი დოკუმენტების მიხედვით დადგენილად უნდა ჩათვალოს, რომ ვ. ი. ლენინთან ქართველ პროფესიონალურ რევოლუციონერთა მიმოწერა 1901 წლიდან იწყება.

პირველი ქართველი მარქსისტი, რომელმაც ვ. ი. ლენინთან წერილობითი კავშირი გაბა, — ეს იყო მეგზნებარე რევოლუციონერი, მაშინ უკვე მტკიცე ისკრელი ლენინელი ლადო კეცხოველი.

შემდეგ ვ. ი. ლენინთან მიმოწერას იწყებს მიხეილ დავითაშვილი, ამ უკანასკნელის მეოხებით ი. ბ. სტალინი, ცოტა უფრო გვიან მიხა ცხაკაია, უფრო გვიან სერგო ორჯონიკიძე, შალვა ელიავა, ნიკო კიკნაძე, სამუელ ბუაჩიძე, მელიტონ ფილია, მალაქია ტოროშელიძე, ფილიპე მახარაძე, აბელ ენუქიძე და სხვები.

გამორკვეულია აგრეთვე, რომ ჯერ კიდევ 1901 წლის მეორე ნახევრიდან ვ. ი. ლენინთან კავშირი დაამყარა რსდმპ თბილისის კომიტეტმა.

ვ. ი. ლენინის ფონდში ინახება რსდმპ თბილისის კომიტეტის ხელმოწერით 1901 წლის 10 აგვისტოს გამოცემული პროკლამაცია—„ამხანაგებო!“ ამ პროკლამაციაზე ვ. ი. ლენინის ხელით გაკეთებულია სხვადასხვა აღნიშვნები. იმავე ფონდში ინახება თბილისის კომიტეტის მიერ 1901 წლის 14 სექტემბერს გამოცემული პროკლამაცია „ამხანაგო ჯარისკაცებო!“, რომელზეც ასევე გაკეთებულია ვ. ი. ლენინის აღნიშვნები. როგორც ჩანს, ლენინს განზრახული ჰქონდა „ისკრაში“ მოეთავსებინა ეს პროკლამაცია, მაგრამ რადგანაც ეს არ მოხერხდა, „ისკრის“ 20 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ცნობა საერთოდ თბილისის კომიტეტის ფართო საagიტაციო მუშაობაზე და აქ მაინც მოხსენებულ იქნა, რომ „კომიტეტის ერთ-ერთი ბოლო პროკლამაცია მიმართულია ჯარისკაცებისადმი“-ო.

ასეთ ვითარებაში დაიწყო ლ. კეცხოველის მიმოწერა ვ. ი. ლენინთან. ამ მიმოწერის მიზეზი და უშუალო საბაბი გახდა შემდეგი გარემოება:

1901 წლის დასაწყისში ვ. ი. ლენინმა დაიწყო ზრუნვა იმისათვის, რომ მოწყობილიყო გაზ. „ისკრის“ გადაბეჭდვის საქმე რუსეთში, რათა ამით გაადვილებულიყო საზღვარგარეთიდან „ისკრის“ შემოტანა და გავრცელება. ამ დროს ლ. კეცხოველმა თბილისის კომიტეტისა და ბაქოში მყოფ „ისკრის“ აგენტების კრასინისა და გალპერინის დახმარებით დააარსა პატარა არალეგალური სტამბა. ამის შესახებ დაოყოფნებლივ შეიტყო ვ. ი. ლენინმა და მოიწერა იმდენად გაძლიერებულიყო ეს სტამბა, რომ მასში შესაძლებელი ყოფილიყო „ისკრის“ გადაბეჭდვა მატრიცებიდან. ვ. ი. ლენინის ამ დავალების შესრულებას ხელი მოჰკიდა არალეგალური სტამბების ბრწყინვალე ორგანიზატორმა ლ. კეცხოველმა. 1901 წლის ზაფხულში სტამბა უკვე ყოველმხრივ გამართული იყო. სექტემბრიდან აქ დაიწყო „ისკრის“ ბეჭდვა. საკმაოდ ბუნებრივია, რომ ამ უდიდეს საქმესთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინსა და ნ. კ. კრუპსკაიას სისტემატური მიმოწერა ჰქონდათ სტამბის ხელმძღვანელებთან. არსებობს გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი რამდენიმე ათეული წერილი ამ სტამბის თაობაზე. სამწუხაროდ, აღმოჩენილია ლ. კეცხოველის მხოლოდ ორი წერილი, თუმცა მთელი ამ მიმოწერიდან აშკარად ჩანს, რომ ლ. კეცხოველს ხშირი მიმოწერა ჰქონდა „ისკრის“ რედაქციასთან, ვ. ი. ლენინთან და ნ. კ. კრუპსკაიასთან.

კონსპირაციული მოსაზრებით პარტიულ მიმოწერაში კეცხოველის მიერ დაარსებულ სტამბას, რომელიც საერთო პარტიულ სტამბად გადაიქცა, ეწოდება „ნინა“, ხოლო ლ. კეცხოველს „ნინას მამა“.

1902 წლის გაზაფხულზე ჩავარდნის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით და უსახსრობის გამო სტამბას დროებით შეუწყვეტია მუშაობა. ამ დროს ლ. კეცხოველს წერილი მიუწერია ვ. ი. ლენინისადმი, მაგრამ თავისი მისამართი ვერ არ უჩვენებია. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ლ. კეცხოველის მოსაძებნად გამოყენებულ იქნა „ისკრის“ ფურცლებზე „საფოსტო ყუთი“, სადაც 1902 წლის 10 მარტს („ისკრა“ № 18) მოთავსებული იყო ასეთი შენიშვნა: „ნინას მამას“ წერილი მივიღეთ, მოგვეცით მისამართი ფულისათვის“.

სტამბის ჩავარდნის შიშით კეცხოველმა გადაწყვიტა იგი სხვაგან გადაეტანა. შრიფტის ნაწილის გადატანის დროს დაეპატიმრეს რამოენიმე მუშაკი. კეცხოველი ამიერად გადარჩა, მაგრამ იძულებული გახდა წასულიყო რუსეთში. აქ მან შემოიარა მთელი რიგი ქალაქები სტამბისათვის შესაფერისი ადგილის, საჭირო პირებისა და ფულის საშოვნელად.

ლ. კეცხოველმა გადაწყვიტა ყოველივე ამის შესახებ ეცნობებინა ლენინისათვის და ეთხოვა რჩევა-დარიგება. ამ მიზნით მან 1902 წლის 26 აპრილს ოცდაერთი წერილი გაუგზავნა ნ. კ. კრუპსკაიას. წერილში ნათქვამი იყო:

„ყველა ჩემი ამხანაგი დაპატიმრებულია, როგორც ადგილიდან დეპეშით იტყობინებიან, იქ ალარავინ არ დარჩენილა... გამოვემგზავრე იმ მიზნით, რომ კავშირი დამეყარებინა ქალაქებთან და მომესინჯა ნიადაგი ფულის შესახებ, მაგრამ ჩემი გეგმები, ცხადია, ჩაიშალა — არავინ არის, ვისთანაც შეიძლება კავშირის დამყარება, ხოლო ფულის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია... არ ვიცი, რა ვქნა და რა ფუყო იმას, რაც ამდენ შრომად, სისხლად და სხვ. დამიჯდა... მაგრამ შეიძლება როგორმე გამოვიდე ამ მდგომარეობიდან, ყოველ შემთხვევაში მომეცით თქვენი რჩევა.

მირჩიეთ რა ვქნა, ვიბოგინო კიდევ აქ (არ არის სახსრები, ხალხი და სხვ.) თუ გადმოვბარგდე თქვენთან. უკანასკნელ შემთხვევაში მე მხედველობაში მაქვს ვიმუშაო ჭართული სტამბის და საერთო ორგანოს მოწყობაზე... არა მგონია, რომ მე „პატრიოტად“ მოგიჩვენოთ. საჭიროება ძალიან, ძალიან დიდია. მიპასუხეთ“.

იმავე წლის 25 მაისს ვ. ი. ლენინის დავალებით ნ. კ. კრუპსკაია საპასუხო წერილში ლ. კეცხოველს სწერდა, რომ სანამ რაიმე ნაბიჯს გადადგამდეთ, მოეთათბირეთ ჩვენს მეგობრებს რუსეთში, და უგზავნიდა სათანადო კონსპირაციულ მისამართებს, ამასთან აძლევდა ასეთი გაფრთხილებას: „თუ ნინა უვნებლად არის, დატოვეთ იგი იქ გარკვეულ დრომდე, თვითონ კი მასთან ახლა არაგითარი შემთხვევაში არ წახვიდეთ. პირადად თუ როგორ უნდა მოიქცეთ, განიხილეთ სამარელებთან ერთად. ახლა განსაკუთრებით საჭიროა ხალხი რუსეთში. თუ ბათუმთან რაიმე კავშირი არსებობს, სასწრაფოდ გვაცნობეთ“.

ლ. კეცხოველი მართლაც ჩასულა სამარაში და სტამბის თაობაზე მოლაპარაკებია გ. კრეიჟანოვსკის, რომელსაც 29 ივლისს ამის შესახებ ეცნობებინა ნ. კ. კრუპსკაიასთან: „ამ დღეებში ჩვენთან იყო „ნინას მამა“-ო. აქაც ლ. კეცხოველი ვერაფერს გახდა, ამასთან საზღვარგარეთ წასვლაზე მიიღო რა უარი, რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდა ბაქოში და კვლავ განაახლა სტამბის მუშაობა, ჩავიდა ბათუმშიც „ისკრის“ მატრიცების ტრანსპორტირების მოსაგვარებლად, და როცა ყველაფერი მზად მიიჩნია, 1 სექტემბერს გაუგზავნა წერილი ვ. ი. ლენინს „თქვენ ძალიან უკმაყოფილო უნდა იყოთ, — სწერდა კეცხოველი, — რომ ასე დიდ ხანს არაფერს გაცნობებდით. მართლაც, ეს ძალიან ცუდია, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში ვიყავი ჩაყენებული, რომ ვერ შევძელი მომეკრიფა აზრები და ცოტად თუ ბევრად გარკვევით დამეწერა. ჯერ ნინას შესახებ იყო დაეიდარება. მერე კი ამ საქმის მოწყობაშ მოითხოვა ხშირი მგზავრობა, და თითქმის სულ გზაში ვიყავი. ახლა ვფიქრობ, ზოგი რამ მოვასწარი, მომავალში ისედი მაქვს დროზე გაცნობოთ ყველაფერი. ნინა ახლა თითქმის კარგად გრძნობს თავს და, როგორც ჩანს, მალე შეუდგება მუშაობას. გამოგზავნეთ.. დაპირებული საგნები... მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაჯანსაღოთ, ახალ საფეხურზე ავიყვანოთ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა

★ ★

ერთი დღე სოფლის კოოპერატივში

დილაადრიან ფართოდ იღება სოფლის მაღაზიების კარი. ვიტრინებსა და თაროებზე გემოვნებით არის გამოფენილი ლამაზად მოჩითული ქსოვილები, ტანსაცმელი, საოჯახო ნივთები. შეძენამდე მომხმარებელი დინჯად, გულდასმით არჩევს საქონელს. თუ მომხმარებლისათვის საჭირო საქონელი მაღაზიაში არ აღმოჩნდა, გამყიდველი ინიშნავს მას მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლის რვეულში.

— ამ დღეებში გამოიარეთ, აუცილებლად გვექნება ეს საქონელი, — თავაზიანად მიმართავს გამყიდველი მომხმარებელს.

მეჯვრისხევის სოფლის კოოპერატივის მუშაკები ცდილობენ რაც შეიძლება უკეთ მოემსახურონ მომხმარებლებს, უფრო სრულად დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებანი. თავაზიანი მოპყრობით, კულტურული მომსახურებით ვაჭრობის ბევრმა მუშაკმა კოლმეურნეთა სიმპათია დაიმსახურა. მეჯვრისხევში ყველა პატივისცემით ახსენებს სამეურნეო მაღაზიის გამგე-გამყიდველს იაკობ ილურიძეს. იგი 30 წელზე მეტია ცეკავშირის სისტემაში მუშაობს.



— ადრე ძალიან ვიღლებოდი, — ამბობს იგი, — 12 მეტრი სიგრძის დახლში მარტო ვმუშაობდი, დღეში ალბათ ათობით კილომეტრის გავლა მიხდებოდა. ახალგაზრდობაში ასეთ „გასეირნებას“ ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ 65 წელს რომ გადავაცილე, გამძიმდა სიარული. მაღაზიაში თვითმომსახურების განყოფილების შექმნის შემდეგ მუშაობა ძალიან გამიადვილდა, მომხმარებლებიც კმაყოფილი არიან, თვითონვე უშუალოდ შეუძლიათ მივიდნენ თაროებთან და აირჩიონ საქონელი.

— აი ხედავთ, — თაროსთან მდგომ მამაკაცზე მიგვითითა იაკობმა, — რამდენი ხანია უტრიალებს ხეხილის შესასხურებელ მანქანას, მოეწონება იყიდის, არა და ნება მისია.

თავის საქმეში გართული მეჯვრისხეველი კოლმეურნეს შალვა გოგიაშვილს იაკობის სიტყვები არ გაუგონია, მანქანას ჩაჰკირკიტებდა, გულდასმით ამოწმებდა სარქველს, ცილინდრის სახურავს, დგუშს.

— კარგი მანქანაა, იაკობ, მიიღეთ ფული.

ძალიან მიხარია, რომ ხელსაწყო მოგეწონა, მოსავლის ზღვა მოსულიყოს შენს ბაღებში, — უსურვა გამყიდველმა კოლმეურნეს.

სამრეწველო საქონლის მაღაზიაში გიორგი და ნინო ნადიბაძეები შემოვიდნენ.

— ერთი მოჩითული ნაჭერი მომეცით, ჩემს დედაკაცს უნდა ვუყიდო, იქნებ ცოტათი გაახალგაზრდავდეს, — ხუმრობით უთხრა მან მაღაზიის გამგე-გამყიდველს გიორგი ბეგიაშვილს.

მრავალნაირი შტაპელის ქსოვილი გასინჯა ცოლ-ქმარმა. არჩეული შეიძინეს. სხვა საქონლის ყიდვას ეტყობოდათ არც აპირებდნენ.

— ძაფი, ღილები გაქვთ სახლში? — თავაზიანად შეეკითხა მათ ეთერ ცეცხლაძე, რომელიც მაღაზიაში ინდივიდუალურ პრაქტიკულ სწავლებას გადის.

— შენ გაიხარე, შვილო, რომ მოგვაგონე, თორემ მეორედ მოგვიხდებოდა აქ მოსვლა, — კმაყოფილებით მიუგეს მყიდველებმა.

ბევრი კოლმეურნე, მოსწავლე, ინტელიგენტი გავიდა გასულ კვირას ნაყიდებით ხელდამშვენებული მეჯვრისხევის სოფლის კოოპერატივის მაღაზიებიდან. დიდძალი ქსოვილები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, წიგნები, რადიომიმღები შეიძინა მოსახლეობამ. ერთ დღეში მეჯვრისხევის სოფლის კოოპერატივის სავაჭრო ობიექტებში რეალიზებულ იქნა 70 ათასი მანეთის საქონელი. მაგრამ ამ მშრალ რიცხვს არ ძალუძს გამოხატოს ის დიდი სიხარული, რომელიც ძვირფასი შენაძენის სახით თავიანთ ოჯახში შეიტანეს შრომისმოყვარე კოლმეურნეებმა.

ა. ხუჭუა.

სოფელი მეჯვრისხევი.

* * *

სურათზე: მეჯვრისხევის სამრეწველო საქონლის მაღაზიაში (მარცხნიდან) გამყიდველი ე. ცეცხლაძე, მომხმარებლები ცოლ-ქმარი გ. და ნ. ნადიბაძეები.

ფოტო შ. კუკულავასი.

★ ★

წესრიგი დავამყაროთ ხაშურის რაიკოოპკავშირის სისტემაში

— მოგიკვდეს ეფრემი, თუ არ გაგისწორდე!.. — მუქარით წამოიძახა სურამის სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ ეფრემ ჯინჯიხაშვილმა და ცეკავშირის ყოფილ ინსტრუქტორი-ვეზორს ღონაძეს ხელიდან გამოგლიჯა საწყობის დალუქვის აქტი, მის თვალწინ დახია. ამ უდიერობისა და კიდევ იმისათვის, რომ მან სოფელ ჩუმათელეთის მაღაზიის გამგეს ხუხაშვილს 800 მანეთი გამოძალა, ცეკავშირის გამგეობამ ეფრემ ჯინჯიხაშვილს სასტიკი საყვედური გამოუცხადა უკანასკნელი გაფრთხილებით. ეს იყო 1954 წლის 17 ნოემბერს. მაგრამ ამ გაკვეთილმა ჯინჯიხაშვილისთვის ფუჭად ჩაიარა, კომბინაციების მოწყობის პრაქტიკაზე ხელი ვერ აიღებინა.

1957 წლის ივნვარში ეფრემ ჯინჯიხაშვილმა ჩრდილოეთ ყაზახეთის ბულავერის რაიკოოპკავშირში მიავლინა კომბინაციებში დახელოვნებული, წინათ პასუხისგებაში ნამყოფი რაჟდენ გველესიანი, რომელმაც იქაურ კოოპერატორებთან დადო ხელშეკრულება ღვინისა და არყის მიწოდების შესახებ.

ე. ჯინჯიხაშვილმა და რ. გველესიანმა მოახერხეს ცეკავშირში ნებართვის მიღება ადგილობრივ მოსახლეობაში ღვინო-არყის შესყიდვის შესახებ. საქმე გაჩარხა. სურამის სოფლის კოოპერატივს ბულავერის რაიკოოპკავშირისათვის ლიტრი ღვინო უნდა ჩაებარებინა 19 მანეთად და 20 კაპიკად, ლიტრი არაყი კი — 43 მანეთად და 40 კაპიკად.

რ. გველესიანმა ზესტაფონის, თელავის, ქარელის, თერჯოლის და მაიაკოვსკის რაიონებში შეისყიდა 90.049 ლიტრი ღვინო და 14.804 ლიტრი არაყი. საანგარიშგებო დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ ლიტრ ღვინოზე შემსყიდველებს დარჩათ მოგება 1 მანეთი და 92 კაპიკი, ხოლო ლიტრ არაყზე 4 მანეთი და 34 კაპიკი. ეს კარგა მოზრდილ თანხას შეადგენს, მაგრამ კომბინატორებს უთრო ძლიერი მადა აღმოჩნდათ.

კოლმეურნეები გ. დემეტრაძე, დ. კიკნაველიძე, დ. ჯაფარიძე, კ. კაპანაძე, ნ. ჯაფარიძე, გ. გუნცაძე, გ. ქველაძე, შ. გოგოლაძე, გ. ჭულუხაძე განმარტებას იძლევიან, რომ რ. გველესიანს წინასწარ მოურიგდნენ და ლიტრი ღვინო ჩაბარეს 9-10 მანეთად, ხოლო ფულის მიღების დროს გველესიანმა მათ ხელი მოაწერინა თითქოს ყოველ ლიტრზე 15 მანეთი მიიღეს. ასევე გ. ღამბაშიძე ადასტურებს, რომ სურამის სოფლის კოოპერატივს მან ჩაბარა ლიტრი ღვინო 9 მანეთად და 50 კაპიკად, ჩაბარებულ ღვინოში სოფლის კოოპერატივის სალაროდან სულ მიიღო 19.500 მანეთი. ყოველივე აქედან დასტურდება, რომ რ. გველესიანმა, ე. ჯინჯიხაშვილმა და სურამის სოფლის კოოპერატივის ბუხჰალტერმა ა. გოგოლაძემ ჩრდილოეთ ყაზახეთში ბულავერის რაიკოოპკავშირის ღვინო ჩაბარეს სპეკულანტურ ფასებში და ამ გზით ჩაიჯიბეს 680 ათას მანეთზე მეტი.

იცის თუ არა ყოველივე ეს ხაშურის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ქველაძემ? იცის, მაგრამ ხმასაც არ იღებს. პირიქით, თავის დროზე იგი ხელსაც უწყობდა ჯინჯიხაშვილს, მას „შეუცვლელ“ მეშაკად აღიარებდა.

1957 წელს რაიკოოპკავშირმა ჯინჯიხაშვილი სპეციალურად მიავლინა მოსკოვში, არმავირში, ტაგანროგში და კიროვაკანში, საიდანაც მან შემოზიდა დიდძალი სამრეწველო საქონელი, რომელიც, როგორც წესი, სხვა სოფლის კოოპერატივებზეც უნდა განაწილებულიყო, მაგრამ სარეალიზაციოდ მთლიანად სურამის კოოპერატივს მისცეს, იმიტომ ხომ არა, რომ კომბინატორებს მეტი სამოქმედო ასპარეზი ჰქონოდათ?

ხაშურის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ქველაძე არ იჩენს დინტერესებს ვაჭრობის ქსელის გაჯანსაღებისათვის. ამიტომ არის, რომ ვაჭრობის ქსელში მოკალთებულია ბევრი სახელგატეხილი დახლის მუშაკი, ისეთები, როგორიც არიან, მაგალითად, სოფელ ყელეთის მაღაზიის გამგე-გამყიდველი გ. ჯიოშვილი, გომის სოფლის მაღაზიის გამყიდველი ტ. ჯანაშვილი, ფლევის მაღაზიის გამგე-გამყიდველი პ. ნოზაძე, ღართის მაღაზიის გამგე-გამყიდველი ა. გაგლოშვილი, გომის სოფლის კოოპერატივის საწყობის გამგე ე. შერაზადიშვილი და სხვები.

რაიკოოპკავშირის გამგეობა არ ზრუნავს კოოპერაციული ქონების დაცვისათვის. ამის შედეგად ბოლო დროს გახშირდა კოოპერაციული ქონების გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები. მაგალითად, ამას წინათ ქვიშხეთის სოფლის მაღაზიიდან ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს 126 ათასი მანეთის საქონელი, მაგრამ ბოროტმოქმედის კვალი დღემდე მიგნებული არ არის. მსგავსი ფაქტები სხვაც არის.

ვაჭრობის ქსელში ასეთი დამახინჯებანი ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ სათანადო ბრძოლა არ წარმოებს გამფლანგველების, კომბინატორებისა და სპეკულანტების წინააღმდეგ. ამ მხრივ აღსანიშნავია ხაშურის რაიონის პროკურორის შ. გელაშვილის გულგრილი მუშაობა.

გასული წლის დეკემბერში რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე მომხსენებელმა, რაიკომის პირველმა მდივანმა დ. ქვლივიძემ აღნიშნა რაიონის სავაჭრო ქსელში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები. სავაჭრო ქსელში ნაკლოვანებათა მხილებით ამხ. ქვლივიძე სხვა დროსაც გამოსულა, მაგრამ პარტიის ხაშურის რაიკომი სუსტად იბრძვის ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ხოლო ზოგჯერ საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა დამცველის როლშიც კი გამოდის. ჯერ კიდევ 1956 წლის ივნისში რაიკომის წევრმა, ხაშურის საღოკომოტივო დეპოს პარტკომის მდივანმა ამხ. გ. ნოზაძემ, რომელიც საქალაქო საბჭოს საავაჭრო კომისიას ხელმძღვანელობდა, რაიონულ გაზეთში მოათავსა კრიტიკული წერილი რაიონში ვაჭრობის წესების დამახინჯებათა შესახებ. იმის ნაცვლად, რომ მხარი დაეჭირა გაზეთისათვის და ეზრუნა წერილში მოყვანილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, პარტიის რაიკომი მხილებულთა გამოსარჩლების ყოვლად გაუმართლებელ და ყალბ გზას დაადგა. რაიკომის ბიუროს საყვედური გამოუცხადა წერილის ავტორს ამხ. გ. ნოზაძეს.

ხაშურის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ქველაძემ ხაშურის უნივერმაღის დირექტორად თბილისიდან მოიწვია თაღლითობაში გაქნილი ა. შათაშელი, რომელიც ხელოვნურად ზრდიდა საქონლის ფასებს. მისი მოქმედება რაიონულ გაზეთში ამხილა რაიკომის წევრმა, ხაშურის სავაგონო დეპოს პარტიული ბიუროს მდივანმა ვ. ლაცაბიძემ, მაგრამ გაზეთის სიგნალი რაიკომში ამჯერადაც უყურადოდ გაიგეს.

ყველა იმ უმსგავსოებისათვის, რასაც ადგილი აქვს ხაშურის კოოპერაციულ საავაჭრო ქსელში, არ შეიძლება საყვედური არ გამოთქვათ ცეკავშირის მიმართაც. წელს იანვარში ცეკავშირიდან აქ მოაღლინეს ინსტრუქტორი ი. ლორთქიფანიძე, რომელმაც არც თუ ისე დეტალურად, მაგრამ მაინც შეისწავლა სურამის სოფლის „კოოპერატორების“ ჯინჯიხაშვილისა და გველესიანის „მოღვაწეობა“, შეადგინა სათანადო აქტი, მაგრამ შედეგი ჯერ არა ჩანს. კომბინატორები და სპეკულანტები ხაშურში კვლავ თარეშობენ.

ვ. გურგენიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ციფრები და ფაქტები

◉ გასულ წელს ცეკავშირმა საქართველოს სსრ სოფლის მოსახლეობას მიჰყიდა 3 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი, დაახლოებით 1,3 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულებისა, ვიდრე 1950 წელს.

◉ მნიშვნელოვნად გაფართოვდა წიგნით ვაჭრობა. 1957 წელს ცეკავშირის მაღაზიებში რეალიზებული წიგნების ღირებულებამ შეადგინა 20 მილიონი მანეთი, ანუ 4,4 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1956 წელს.

◉ ცეკავშირმა 1957 წელს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს მიაწოდა 200 ათასი კუბმეტრი საშენი ხე-ტყე, 50 ათასი ტონა ცემენტი, 18 მილიონი ცალი შიფერი, 40 ათასი ტონა ბენზინი, 1.443 მხუბუქი და სატვირთო ატომანქანა.

◉ 1957 წელს რაიონებსა და სოფლებში საეკსლოატაციოდ გადაეცა 41 რაიონული და სოფლის მაღაზია, 124 კულტმაღაზია, 70 საჩაიე, სასადილო და რესტორანი. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საზოგადოებრივი კვების ქსელი ჩვენს რესპუბლიკაში გაიზარდა 215 ობიექტით.

◉ გასულ წელს 1956 წელთან შედარებით ცეკავშირის ხაზით დამზადდა 125 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების დაფნა, ხილი, კარტოფილი, ბოსტნეული, მატყლი, ხორცი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული.

◉ მარტო 1957 წელს ცეკავშირის სავაჭრო ქსელიდან მოსახლეობამ შეიძინა 24.000 რადიომიმღები, 2.900 მაცივარი, 700 პიანინო.

◉ სამრეწველო საქონლისა და სასურსათო პროდუქტების ცენტრალიზებული მიწოდება და რგოლური შემოზიდვა განხორციელებულია ცეკავშირის 149 სოფლის კოოპერატივში, რომლებიც 3.000-მდე მაღაზიასა და ფარდულს მოიცავენ.

★ ★

აღმოვფხვრათ დამახინჯებანი სავაჭრო ქსელში, გავაფართოოთ კულტურული ვაჭრობა

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა თერჯოლის სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელი. გაიხსნა ორი სასოფლო მაღაზია, სასადილო, პურის ოთხი საცხობი. ამჟამად რაიონის ცენტრში მიმდინარეობს სასადილოს „ქითილმოწყობა“. უკანასკნელ ხანებში მაღაზიებმა დიდძალი მაღალხარისხოვანი საქონელი მიჰყიდეს მომხმარებელს და გადაჭარბებით შეასრულეს საქონელბრუნვის გეგმები.

მიუხედავად ამისა, სავაჭრო ქსელში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლია. ხშირია ფასების დამახინჯების და მომხმარებელთა მოტყუების შემთხვევები. რაიცენტრის სასურსათო მაღაზიაში თევზს, რომლის ღირებულება 11 მანეთი და 20 კაპიკია, 12 მანეთად და 30 კაპიკად ყიდდნენ. ამ მაღაზიის გამყიდველმა თ. ხაბეიშვილმა მოქალაქე რ. მაკარიძეს 330 გრამ თევზში ზედმეტად 30 კაპიკი გადაახდევინა. იმავე მოქალაქეს მაღაზიის გამგემ მ. კაჭკაჭოვმა 1 კილოგრამსა და 200 გრამ ორცხობილში ზედმეტად 39 კაპიკი გადაახდევინა.

საბჭოთა ვაჭრობის წესები უხეშად მახინჯდება სამრეწველო საქონლის მაღაზიაში, სადაც გამგედ მუშაობს მ. ელიკაშვილი. მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს: ამას წინათ მაღაზიის გამყიდველმა მ. ჯანაშვილმა მაღაზიიდან ქუჩაში სავაჭროდ გაიტანა ჩითი, რომელსაც სახელმწიფო საპრეისკურანტო ფასის მაჩვენებლები ააცალა და გადიდებული ფასი დაადო. რეიდის მონაწილეებმა მ. ჯანაშვილს დანაშაულზე წაასწრეს და მიუთითეს, რომ პატიოსნად ევაჭრნა. მ. ჯანაშვილმა შენიშვნა აინუნშიც არ ჩაადო. პირიქით, მან ლანძღვა დაუწყო ჩითის საყიდლად მისულ მოქალაქეებს.

გათავხედებულმა მ. ჯანაშვილმა დახლიდან ჩითის თოფები აალაგა და ვაჭრობა შეწყვიტა. ვაჭრობის მუშაკის ასეთმა თვითნებობამ მომხმარებელთა სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია.

მაღაზიის ზოგიერთი მუშაკი ხშირად მიმართავს საქონლის გადამალვას. მაგალითად, სამრეწველო საქონლის სექციის გამყიდველს მ. კიკოზაშვილს დაბლქვეშ გადამალული აღმოაჩნდა 3 მეტრი საკოსტიუმე ქსოვილი. საგალანტერიო სექციაში ასევე გადამალული ჰქონდათ ლოგინის გადასაფარებლები, „ზვეზდას“ მარკის მაჯის საათი და სხვა საქონელი. მაღაზიაში ყურადღებას არ აქცევენ საქონელზე ფასის აღნიშვნას. შემოწმებისას ფასის მაჩვენებლები არ აღმოჩნდა მამაკაცის ცხვირსახოცებზე და სხვადასხვა ღირებულებისა და ზომის ჩითის გადანაჭრებზე.

ფასებს ამახინჯებენ რკინა-კაბეიულის მაღაზიაშიც (გამგე ი. მოშიაშვილი). გამყიდველმა ა. ჩუბინიძემ კოლმეურნე ა. რობაქიძეს 2 ცალ ელექტროდამცავში 26 კაპიკით მეტი გადაახდევინა, ხოლო მყიდველ ო. კახიძეს, რომელმაც ასეთივე ოთხი ელექტროდამცავი და იატაკის საწმენდი ჯაგრისი შეიძინა, 23 კაპიკი ხურდა არ დაუბრუნა.

განსაკუთრებით დიდი ნაკლოვანებებია სასოფლო მაღაზიების მუშაობაში. აქ მაღაზიის მუშაკთა დაუდევრობით ხშირია ყოველდღიური მოთხოვნილების სასურსათო და სამრეწველო საქონლის ნაკლებობა.

სოფელ ჩხარის ტერიტორიაზე მოთავსებული ნავთის გასაყიდი წერტი, რომელიც დიდი რაოდენობით იყო შემოზიდული ნავთი, მაგრამ წერტის გამგეს ს. დათიაშვილს ხელზე არ აღმოაჩნდა ფაქტურა. ამასთანავე შემოწმებით გამოირკვა, რომ ს. დათიაშვილი მომხმარებლებს ხურდას არ უბრუნებდა.

რეიდის მონაწილეები: **ვ. გოგოლაშვილი**, რაიაღმასკომის კულტურის განყოფილების ინსპექტორი; **თ. ქარქაშაძე**, საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომის ინსტრუქტორი; **ვ. რობაქიძე**, გაზეთ „საკოლმეურნეო სოფლის“ რედაქტორი; **ვ. ხუჯაძე**, კომკავშირის რაიკომის მდივანი; **ვ. ცირეკიძე**, გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

წერს პარტიული ცხოვრების მდგომარეობას, აცნობებს ლენინს, რომ ბაკოში, განსაკუთრებით კი თბილისში, ბათუმში და საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში ადგილი აქვს მენშევიკების მომძლავრებას, ისინი ხელთ იგდებენ ორგანიზაციებს, იპყრობენ უმრავლესობას თუმცა ამავე დროს ადგილი აქვს პირუკუ პროცესსაც. როცა შეგნებული მუშები სტოვებენ მენშევიკებს და ბოლშევიკებთან გადმოდიან. წერილში აღნიშნულია, არ გვყოფნის ძალები ადგილებზე დასაგზავნად. რადგან მთელი ლიტერატურული ძალები დაკავებულია კავკასიის კავშირის საგამომცემლო საქმიანობითო.

„შეიძლებოდა და საჭირო იყო მათ დავხმარებოდით, — ნათქვამია წერილში, — მაგრამ ლიტერატურული მუშაობა გვარიმეფს რამდენადმე მაინც სერიოზული დახმარების ყოველგვარ საშუალებას: დაეხმარო, ნიშნავს ჩაუჯდე „ბრძოლის ველზე“ სულ ცოტა ერთი თვით და გასწიო უაღრესად ენერგიული, დაუღალავი პროპაგანდა და აგიტაცია, ე. ი. დასტეო ყველა სხვა სამუშაო. ამავე დროს საჭიროა ლიტერატურული წინააღმდეგობა გაუწიო „მენშევიკების“ ლიტერატურულ აგიტაციას ბოლშევიკების წინააღმდეგ. იმის გამო, რომ 1) ლიტერატურულ სიტყვას მუშათა თვალში გაციელებით მეტი წონა აქვს, ვიდრე ცოცხალ სიტყვას, 2) კავშირის კომიტეტი ვალდებულია პერიოდულად გამოსცეს ორგანო, ხოლო არ გამოსცეს — ეს ნიშნავს მუშათა თვალში დაკარგო ყოველგვარი მნიშვნელობა (საჭირო კია ავამაღლოთ კავშირის კომიტეტის პრესტიჟი, რადგან ეს ორგანიზაცია შეადგენს „მეუმრავლესთა ფირმას“ კავკასიაში), — მოგვიხდა უპარატესობა მიგვეცა ლიტერატურული მუშაობისათვის“.

შემდეგ:

„ჩვენ რომ ლიტერატორები გვყავდეს, 2 ამხანაგი შეიძლებოდა განთავისუფლებულიყო ლიტერატურული საქმიანობისაგან და ადგილებზე მუშაობას ჩასდომოდა. მაშინ საქმე. ვფიქრობ, სხვანაირად შეტრიალდებოდა“. ამის შესაძლებლობა წერილში ახსნილია იმით, რომ მენშევიკები ცუდი ორგანიზატორები არიანო. მეტად საინტერესოა წერილის სწორედ ეს ადგილი, სადაც მოცემულია ქართველი მენშევიკების დახასიათება. „მენშევიკებს კარგი ორგანიზატორები არა ყავთ (ისინი საერთოდ არ არიან ორგანიზატორები, — უკეთეს შემთხვევაში არიან ბუნდელთა ტიპის ვიწრო „პრაქტიკოსები“. რომლებსაც განმაზოგადებელი აზრი და ძლიერი ნებისყოფა არ გააჩნიათ, ესენი პარტიამდელი პერიოდის, მუშათმოყვარეობის პერიოდის გახუნებულ სენტიმენტალებს წარმოადგენენ. ესენი კუსტარულობის პერიოდის ნამდვილი გადმონაშთები არიან, რომლებსაც ესოდენ ასდით დამპალ ნამარხთა სუნი... არა ჰყავთ ღრმა პროპაგანდისტები (ისინი ყველანი ზერელე ცოდნის მქონე, ვულგარული „მარქსისტების“ ტიპის ადამიანები არიან), არა ჰყავთ ან თითქმის არა ჰყავთ კარგი აგიტატორები (მათ უმრავლესობას შეადგენენ „კარგი“ მუშათმოყვარულნი, რომლებიც მალე აბეზრებენ თავს მუშებს)...

მაგრამ მათ ჰყავთ „საუცხოო“ დემაგოგები, პარტიული ხულიგნები, რომლებიც ცდილობენ მოსპონ ყოველი კარგი, ყოველი წმინდა... გარდა ამისა, მათ ძალიან ბევრი ხალხი ჰყავთ. ყოველივე ამას კი მნიშვნელობა აქვს მასების სტიქიურობის უაღრესი გამოფხიზლების მომენტში (რევოლუციური მომენტში), ისინი ზომ სტიქიურობას მიმართავენ“.

წერილის დასასრულს ი. ბ. სტალინი აცნობებს ვ. ი. ლენინს, რომ: „კავკასიის კავშირისათვის საჭიროა 2 ლიტერატორი, უკიდურეს შემთხვევაში ერთი.

„ვპერიოდის“ № №-ს ვიღებთ თითო ეგზემპლარს. ბროშურები („ვპერიოდის“ გამოცემა) არ მოგვდის.

30 აპრილს კავშირის კომიტეტის მოწოდებით პირველი მაისობა იზეიმეს ქუთაისის რაიონმა, ბაკომ, ელიზავეტპოლმა. დაწვრილებით 3-4 დღის შემდეგ.

მარტის მეორე ნახევრიდან აპრილის მეორე ნახევრამდე კავშირის კომიტეტმა გამოსცა 75.000 ცალი პროკლამაცია (5 სახელწოდების), 6.000 ბროშურა (ორი სახელწოდების: „4 ძმა“ და „ობობა და ბუზები“)...

ამ დღეებში გამოვა 8 ენაზე ბროშურა პარტიულ უთანხმოებათა შესახებ, კავშირის კომიტეტის რედაქციით. გამოგიგზავნით.

ველით მუშაკებს, „ვპერიოდის“ № №-ს“.

ი. ბ. სტალინის ეს წერილი ნათელს ჰფენს 1905 წლის გაზაფხულისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიაში პარტიული მუშაობის მდგომარეობას, იძლევა ქართველი მენშევიკების უაღრესად ზუსტ და ამომწურავ დახასიათებას, გვიჩვენებს იმ დროს არსებულ ბოლშევიკურ და მენშევიკურ ძალთა თანაფარდობას და ბოლშევიკების ენერგიულ ბრძოლას მენშევიკების წინააღმდეგ. ეს წერილი იძლევა საინტერესო ცნობებს მთელ რიგ კონკრეტულ მოვლენებზე და ამრიგად გვეხმარება წერილში დახასიათებული პერიოდის შესახებ უფრო სრული და სწორი წარმოდგენის შემოშავლებაში.

ეს ახლად აღმოჩენილი წერილები ავსებენ ვ. ი. ლენინთან ი. ბ. სტალინის იმ უაღრესად ვრცელ მიმოწერას, რაც დიდი ხანია გამოქვეყნებულია და ცნობილია მკითხველებისათვის.

* * *

ვ. ი. ლენინთან უაღრესად ახლო ურთიერთობა და ხშირი მიმოწერა ჰქონდა მიხა ცხაკაიას. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ პირად შეხვედრამდე ბევრად ადრე იცნობდა ცხაკაიას როგორც ძველ რევოლუციურ მოღვაწეს, საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ერთ-ერთ დამაარსებელს. შემთხვევითი როდი იყო, რომ სწორედ ვ. ი. ლენინის წინადადებით რსდმ პარტიის III ყრილობა გახსნა მ. ცხაკაიამ, როგორც პარტიის უძველესმა წევრმა. III ყრილობის შემდეგ მ. ცხაკაია ვ. ი. ლენინთან ერთად გაემგზავრა ფინეთში, სადაც დაპყო რამდენიმე დღე და ესაუბრებოდა ბელადს საქართველოსა და ამიერკავკასიაში პარტიული მუშაობის საკითხებზე.

დაბრუნდა თუ არა საქართველოში, ცხაკაიამ შემოიარა ქალაქები და სამრეწველო ცენტრები, შეამოწმა პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა, გამოიდიდა მოხსენებებით III ყრილობის შედეგებზე და საქმეთა ვითარების კარგად გაცნობის შემდეგ, 1905 წლის 28 ივნისს, ვრცელი წერილი მისწერა ვ. ი. ლენინს.

მ. ცხაკაიას ამ წერილში დახასიათებულია საქართველოში რევოლუციური მოძრაობის მდგომარეობა, რსდმპ თბილისის და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების, სოხუმის, ტყიბულის, ხონის და ჭიათურის ორგანიზაციების მუშაობა, ნაჩვენებია, თუ რა ენთუზიაზმით დაუჭირეს მხარი საქართველოს მუშებმა პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებებს, და დასასრულ გადმოცემულია შესანიშნავი ბოლშევიკი ლენინელის ა. წულუკიძის გარდაცვალებისა და დასაფლავების ამბები.

მ. ცხაკაია მიმართავს ლენინს თხოვნით, რაც შეიძლება მალე გამოგზავნოს დასახმარებლად გამოცდილი ორგანიზატორები, განსაკუთრებით ლიტერატურული მუშაკები, რადგან სწორედ ამ დარგში განვიცდით მუშაკების ნაკლებობასო. „ჩვენ ჯერჯერობით საქმეები არც ისე ცუდად გვაქვს, — წერდა მ. ცხაკაია. — როგორც ეს აქაურ (მენშევიკურ) პრესას ან „ისკრას“ წარმოდგენია. კავშირს (ლაპარაკი: რსდმპ კავკასიის კავშირზე. ვ. ე.) კიდევ შეუძლია იარსებოს, განამტკიცოს არსებული, უკან დაიბრუნოს დაკარგული და საერთოდ სახელოვნად დაიცვას რაიონში თავისი პოზიციები“. ეს ახასიათებდა რა მენშევიკების დიდ გავლენას, ამასთან ნ. ცხაკაია მოახსენებდა ვ. ი. ლენინს, რომ საბოლოოდ მოწყობილია ბოლშევიკური კომიტეტი და მიმდინარეობს მუშაობა პირველი უჯრედების შექმნისათვის ქალაქის რაიონების მიხედვით — 100-მდე იქნება ცოტად თუ ბევრად შეგნებული მუშა, რომლებსაც არ უნდათ მენშევიკებთან დარჩნენ. ბოლშევიკების კომიტეტში სამი ყველაზე უკეთესი მოწინავე მუშა — თბილისის, ბათუმისა და ბაკოს ძველი მუშაკია. უნდათ კიდევ შეიყვანონ ახლები, თითო თვითეული რაიონიდან“.

მ. ცხაკაია აღწერს მდგომარეობას ჭიათურაში, აღნიშნავს, რომ იქ 7.000-მდე მუშა მუშაობს, რომ პარტიული ორგანიზაცია მთლიანად ბოლშევიკების ხელშია, აქვთ თავიანთი სტამბა, მუშები მენშევიკებს უნდობლად ეპყრობიან. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინს აცნობებს ასეთ ფაქტს: მენშევიკები „თავიანთ სიტყვებში ამტკიცებდნენ, საჭირო არ არის რევოლუციის მოწყობა, იგი „10, შეიძლება 60 წლის“ შემდეგ იქნებო, რაზეც მუშები დაცინვით უპასუხებდნენ: „ასეთ შემთხვევაში მოდით შემდეგ და ასწავლეთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, ახლა კი ჩვენთვის თქვენ, მენშევიკები, ზედმეტი ხართო“. ეხებოდა რა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მოქმედების რაიონში მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის გამართულ დისკუსიებს სტიქიურობისა და შეგნებულობის დამოკიდებულების საკითხზე, მოახსენებდა ლენინს: „იქ არაფრის გაგონება არა სურთ, თუ აგიტატორი არ დაიწყებს ლაპარაკს... ლენინზე და მის მიერ სტიქიურობისა და შეგნებულობის გაგებაზე. როგორც ხედავთ, ამხ. ლენინს შეუძლია იამაყოს, რომ პროპაგანდისტები და აგიტატორები იძულებული არიან ეძიონ მისი „რა ვაკეთოთ?“ და „ნაბიჯები“.

წერილის დასასრულს მ. ცხაკაია აცნობებდა ვ. ი. ლენინს, რომ: „ჩვენ დავკარგეთ ერთი ამხანაგი ლიტერატორი, ალექსანდრე წულუკიძე... დასაფლავება იყო ზღაპრული. მთელი კავკასიის პროლეტარიატის და გლეხობის წარმომადგენლები ეხვრეოდნენ, იყო 80-ზე მეტი გვირგვინი წითელი ლენტებით.

ჩვენ ცენტრალური კომიტეტის სახელითაც მივიტანეთ გვირგვინი (თქვენ, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ) რევოლუციური წარწერით... მიუხედავად ჭექა-ქუხილისა და კოკისპირული წვიმისა... ქალაქის (ქუთაისის) ფარგლებში მიაცილებდა 30-40 ათასი კაცი, ხოლო ქალაქგარეთ დ. ხონამდე 7-8 ათასი, 3-4 დროშა. მუშათა და გლეხთა მომღერალი ორი გუნდი, რომლებიც განუწყვეტლივ მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს... უთვალავი სიტყვები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე“.

1907 წელს მ. ცხაკაია წავიდა საზღვარგარეთ და 1917 წლის აპრილამდე განუწყვეტლივ ემიგრაციაში იყო, საიდანაც ლენინთან ერთად დაბრუნდა პეტროგრადში თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ.

ემიგრაციაში ყოფნისას მ. ცხაკაიას კავშირი ჰქონდა ვ. ი. ლენინთან, სწერდა მას წერილებს საქართველოსა და ამიერკავკასიის ამბების შესახებ. ცხაკაიას საშუალებით „ქართველი ბოლშევიკები ამყარებდნენ კავშირს საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრთან, ვ. ი. ლენინთან, იღებდნენ ბელადის რჩევა-დარიგებასა და მითითებებს.

1916 წლის 7 მაისს თბილისიდან ერთ-ერთ ხელმძ

„ურღვევი კავშირი“

უნგრეთის პრესა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შესახებ

ბუდაპეშტი, 11 აპრილი. (საკდესი). დღევანდელი გაზეთები კომენტარს უკეთებენ უნგრეთში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის შედეგებს.

საბჭოთა დელეგაციის ვიზიტი, წერს სარედაქციო სტატიაში გაზეთი „ნეპსაბადშაგი“, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შემდგომი გაღრმავების ფაქტორი გახდა.

ერთობლივი განცხადება, განაგრძობს გაზეთი, განსაკუთრებით დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტია, იმიტომ რომ სახავს გზას მთელი მსოფლიოს მშვიდობისაკენ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ, განიარაღებისა და ხალხთა შორის შემოქმედებითი ნაყოფიერი თანამშრომლობისაკენ. ორივე დელეგაცია კვლავ მოითხოვს შეწყდეს გამალებული შეიარაღება და განხორციელდეს სხვა ღონისძიებანი ომის საფრთხის აღმოსაფხვრელად, რომელთა გადადება აღარ შეიძლება.

განცხადებებს, რომლებიც ამხანაგმა ხრუშჩოვმა გააკეთა მთელი რიგი გამოსვლების დროს და რომლებიც აღნიშნულია ერთობლივ განცხადებაში ეგრეთწოდებული „აღმოსავლეთ ევროპის საკითხის“ შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავს „ნეპსაბადშაგი“, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის, მთელი სოციალისტური ბანაკისათვის, მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობისათვის. ერთობლივი განცხადებიდან მტერსაც და მოყვარესაც შეუძლია მიხვდეს, რომ არც ერთი სუვერენული სახელმწიფო არ მოითმენს იმას, რომ სხვა ქვეყნები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების წინააღმდეგ, განიხილავდნენ მათ საშინაო სისტემას. სახალხო-დემოკრატიულმა ქვეყნებმა უკვე გადაწყვიტეს საკითხი, რომელიც იმპერიალისტებს სურთ დისკუსიის საგანი გახადონ: ამ ქვეყნების ხალხებმა სამუდამოდ მოუღეს ბოლო კაპიტალიზმს და მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გზას. სოციალისტური ქვეყნების ერთობა, მათი შეკავშირება იმის გარანტიაა, როგორც ამას მოწმობს უნგრეთის კონტრრევოლუციური ამბოხების განადგურება და მდგომარეობის სწრაფი კონსოლიდაცია უნგრეთში, რომ ყველა ხრიკი, რომელთა მიზანია აიცდინონ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნები სოციალისტური განვითარების გზას და კვლავ დაადგან მათ იმპერიალიზმისა და ექსპლოატაციის უღელი, გარდუვალად ჩაიფუშება.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა, წერს შემდეგ „ნეპსაბადშაგი“, კმაყოფილებით შეხვდება განცხადების იმ ნაწილსაც, რომელშიც ლაპარაკია უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის ძმური ურთიერთობის შემდგომი გაფართოების შესახებ.

ერთობლივი განცხადება, დასკვნის გაზეთი, ჩვენს ქვეყნებსა და ჩვენს ხალხებს შორის ძმური მეგობრობის ახალი დამაჯერებელი დოკუმენტია. იგი ძალების ახალი, დიდმნიშვნელოვანი წყარო იქნება მილიონობით უნგრელისათვის, პარტიისათვის, რომელიც უნგრეთს ხელმძღვანელობს.

უნგრეთში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის რვა დღის ყოფნამ, წერს გაზეთი „ნეპსავა“, ცხადყო, რომ ასეულ ათასობით, მილიონობით უნგრელი უდიდეს ინტერესს იჩენს მშვიდობისმოყვარული საბჭოთა პოლიტიკისადმი, რომელიც მდიდარია წარმატებებით და სულ ახალ პერსპექტივებს სახავს.

გაზეთი „მადიარ ნემზეტი“ მოწინავე სტატიაში „მტკიცე მეგობრობა“ აღნიშნავს, რომ, თუმცა განცხადებას ჩელს აწერს ორი დელეგაცია, მაგრამ მის შედგენაში მონაწილეობა მიიღო მილიონობით ადამიანმა — უნგრეთის მოსახლეობის იმ მასებმა, რომელნიც ხვდებოდნენ ნ. ს. ხრუშჩოვს, საბჭოთა დელეგაციის წევრებს მათი ვიზიტის დროს.

ვერაფერი ვერ დაარღვევს, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, იმ კავშირს, რომელსაც საფუძვლად უდევს ინტერესებისა და იდეების ერთობა.

მწერალი და საზოგადო მოღვაწე

(სიმონ ქვარიანის დაბადების 90 წლისთავის გამო)

დღეს შესრულდა 90 წელი სიმონ ქვარიანის დაბადებიდან. იგი ეკუთვნის იმ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა რიცხვს, რომლებმაც მთელი თავიანთი ცხოვრება და შემოქმედება შეგნებულად მოახმარეს ქართველი ხალხის კეთილდღეობის საქმეს.

სიმონ ალექსის-ძე ქვარიანი დაიბადა 1868 წელს ქ. ქუთაისში მებაღე-აგრონომის ოჯახში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი შედის ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, რომელსაც ერთი წლის შემდეგ უსახსრობის გამო თავს ანებებს, ბრუნდება ქუთაისში, ღრმად ინტერესდება მევენახეობა-მეგაღეობით, დიდი ენერგიით მუშაობს და ადგილობრივ გაზეთებში აქვეყნებს წერილებს ვაზის მოვლა-პატრონობის შესახებ.

ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით 1897 წელს სიმონ ქვარიანი განათლების მისაღებად საფრანგეთს მიემგზავრება. იქ იგი განიცდის უკიდურეს ეკონომიურ გაჭირვებას, ბეჭდავს ფრანგულ ჟურნალ-გაზეთებში წერილებს და მხოლოდ ამით ირჩენს თავს. ამავე პერიოდში საფრანგეთში ფრანგული ენაზე გამოსცა ნაშრომი „კავკასიის მევენახეობა-მეღვინეობა“.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მეოცე საუკუნის პირველ წლებში სიმონ ქვარიანი სამუშაოდ ეწყობა ჭიათურაში, შაგი ქვის მრეწველობაში. იგი რევოლუციურად განწყობილი მუშათა კლასის მხარეზეა, მოუწოდებს მუშებს იბრძოლონ მრეწველების წინააღმდეგ. ამის გამო იგი რეპრესიებს განიცდიდა.

სიმონ ქვარიანი ქართულ მწერლობაში ლექსებით შემოვიდა. იგი ქართულ პერიოდულ პრესაში ათავსებდა ლექსებს სისონა მეჩონგურის ფსევდონიმით.

სიმონ ქვარიანმა ცხრაასიან წლებში გამოაქვეყნა მოთხრობა „ანგელინა“, რომელშიც გაამათრახა „კაპიტალისტების გაუმაძღრობა.

1907 წლიდან ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორის, საზოგადო მოღვაწისა და ცნობილი პედაგოგის იოსებ ოცხელის მიწვევით სიმონ ქვარიანი მუშაობს ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და ფრანგული ენის მასწავლებლად. მან შეადგინა სკოლებისათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო.

სიმონ ქვარიანმა საფუძვლიანად შეისწავლა გიორგი საკაძის ცხოვრება და მოღვაწეობა და 1911 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია „გიორგი საკაძე და მისი დრო“. ეს თემა შემდეგში მან უფრო გააღრმავა და დაწერა ისტორიული რომანი „დიდი მოურავი“. ეს რომანი ცალკე წიგნად 1937 წელს გამოიცა და მკითხველებში დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამ რომანში ასახულია ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ნაჩვენებია ფეოდალური საქართველოს დაცემის წლები, თავგასული ფეოდალთა და სასახლის კარის ინტრიგები. დიდი სიყვარულით არის დახატული მამაცი სარდლის გიორგი საკაძის პიროვნება.

სიმონ ქვარიანი ავტორია მრავალი მოთხრობისა, წერილისა და საინტერესო გამოკვლევისა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი წერდა პატრიოტულ ლექსებს. მისი რომანის „შოთა რუსთაველის“ ცალკე თავები გამოქვეყნდა 1938 წელს ჟურნალ „მნათობში“.

ბ. ბახტურიძე.

დამსახურებული მეცნიერი

პ. ბურჯანაძე.

* * *

პროფესორი პ. ბურჯანაძე იმ ქართველ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ცხოვრება და საქმიანობა კარგი მაგალითია მომავალი თაობისათვის.

პ. ბურჯანაძემ 1913 წელს დამთავრა ხარკოვის სავეტერინარო ინსტიტუტი, ხოლო 1923 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. უმაღლეს სასწავლებლებში ყოფნის დროს ის დიდი გატაცებით ეუფლება ბიოლოგიურ დისციპლინას, კერძოდ, ჰელმინთოლოგიას. 1931 წელს, როდესაც თბილისში იხსნება ექსპერიმენტული ვეტერინარიის საკვლევი ინსტიტუტი, პ. ბურჯანაძეს ნიშნავენ ამ ინსტიტუტის ჰელმინთოლოგიური ლაბორატორიის გამგედ. ის ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ჰელმინთოლოგიის დარგში და საფუძველს უყრის საქართველოში სავეტერინარო ჰელმინთოლოგიას.

თბილისის ზოოვეტინსტიტუტის დაარსებისთანავე პ. ბურჯანაძეს იწვევენ პარაზიტოლოგიის კათედრის გამგედ. ინსტიტუტში პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ის ეწევა ნაყოფიერ კვლევითს მუშაობას. მისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები შეეხება შინაური ცხოველების თავგარა ჰელმინთოზების თერაპიის საკითხებს. 1937 წელს პ. ბურჯანაძემ შეადგინა და გამოსცა ჰელმინთოლოგიის სახელმძღვანელო.

პროფესორმა პ. ბურჯანაძემ უანგარო სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობით ინსტიტუტის თანამშრომელთა და სტუდენტთა სიყვარული დაიმსახურა. მას ხშირად მიმართავენ კონსულტაციისათვის როგორც ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები, ისე რესპუბლიკის რაიონებში მომუშავე პრაქტიკოსი ვეტმუშაკები.

დღეს პროფესორ პ. ბურჯანაძეს უსრულდება პედაგოგიურ-მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 და დაბადების 70 წელი.

პროფესორი ი. მათიკაშვილი.

საქართველოდან გაემგზავრა ბელგიელ ქალთა დელეგაცია

საქართველოში რამდენიმე დღეს იყო სტუმრად ბელგიის უმაღლესი განათლების მქონე ქალთა ფედერაციის დელეგაცია ჭ-ნ სტელა ვოლფის მეთაურობით. დელეგაციის წევრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს. მათ დაათვალიერეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატები, იყვნენ 23-ე საშუალო სკოლაში, სადაც დაინტერესდნენ სწავლისა და მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებით.

ბელგიის ქალთა წარმომადგენლებს საუბარი ჰქონდათ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძესთან.

სტუმრები იყვნენ მცხეთაში, ხოლო შემდეგ გაემგზავრნენ გაგრაში. აქედან ისინი 11 აპრილს აღლერს წავიდნენ.

(საქდესი).

პოლ რობსონისადმი მიძღვნილი საღამო თბილისში

საქართველოს საზოგადოებრიობამ აღნიშნა გამოჩენილი ამერიკელი მომღერლის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მამაცი მებრძოლის პოლ რობსონის დაბადების 60 წლისთავი. მას მიეძღვნა საღამო, რომელიც 11 აპრილს გაიმართა თბილისში. იგი მოაწყეს საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და თბილისის კონსერვატორიამ.

საღამო გახსნა კონსერვატორიის დირექტორმა, საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის მუსიკალური სექციის წევრმა პროფესორმა ი. ტუსკიამ.

დოცენტმა ე. ძიძაძემ ილაპარაკა პოლ რობსონის ცხოვრებაზე, არტისტულ მოღვაწეობაზე, მის თავდადებულ ბრძოლაზე მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

შეკრებილებმა მოისმინეს ცალკეული სიმღერების ჩანაწერები ნიჭიერი მომღერლის შესრულებით. დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

საერთაშორისო ასტრონომიული კონგრესი 1958 წლის უდიდესი მეცნიერული მოვლენაა

საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გენერალურმა მდივანმა პროფესორმა პეტერ ოოსტერჰოფმა, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში საერთაშორისო ასტრონომიული კონგრესის მომზადებასთან დაკავშირებით, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

— ასტრონომიას შესაძლებელი. უფრო მეტადაც კი, ვიდრე სხვა ზუსტ მეცნიერებას, ესაჭიროება მუდმივი საერთაშორისო სამეცნიერო კოოპერაცია, მეცნიერული კვლევის გეგმების შეთანხმება, დაკვირვების შედეგების გაზიარება.

საერთაშორისო ასტრონომიული კავშირი შეიქმნა 1919 წელს. ამჟამად კავშირში შედის 39 ქვეყანა. საბჭოთა კავშირს მათ შორის უკავია ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი, ხოლო საბჭოთა ასტრონომიის წარმატება საყოველთაო აღიარებით სარგებლობს.

მუშაობა მოსკოვის მომავალ კონგრესზე ძირითადად იწარმოებს საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის 40 მუდმივ კომისიაში, რომლებიც განაგებენ ასტრონომიის მეცნიერების სხვადასხვა დარგში კვლევის კოორდინაციის საკითხებს.

ყრილობის პროგრამაში შეტანილია მეცნიერული სიმპოზიუმები შემდეგ პრობლემებზე: „დედამიწის ბრუნვა და დროის ატომური სტანდარტები“, „ვარსკვლავთა სიკაშკაშის კავშირი მათს ტემპერატურებთან“. იქნება აგრეთვე მთელი რიგი დისკუსიები ასტრონომიის აქტუალურ პრობლემებზე.

მაგონდება, თუ რა მღელვარება იყო ჩვენს სამშობლოში, ჰოლანდიაში, როცა დედამიწის საბჭოთა თანამგზავრმა პირველად გადაუარა ჩვენს ქვეყანას. ახალ მეთოდებს, რომლებსაც თანამგზავრები მეცნიერების წინაშე სახავენ, შეუძლიათ გასცენ პასუხი პლანეტთაშორის არსებული სივრცის, მზის გამოსხივების შესწავლისა და სხვა საკითხებზე.

უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვებზე, პროფესორმა ოოსტერჰოფმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ღონისძიებანი, რომლებსაც საბჭოთა კავშირში ახორციელებენ კონგრესის მოსამზადებლად, მის წარმატებით მოწყობას გვიქადიან.

საერთაშორისო ასტრონომიული კონგრესი მოსკოვში, თქვა პროფესორმა ოოსტერჰოფმა, 1958 წლის უდიდესი მეცნიერული მოვლენა იქნება. (საქდესი).

თბილისის 1500 წლისთავისათვის

საინტერესო აღმოჩენა

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის თბილისის 1500 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით დიდი მუშაობა გაჩაღებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები გამოსაცემად ამზადებენ თბილისის არქიტექტურის, მისი ისტორიული ძეგლების ამსახველ გზამკვლევებს, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევენ დღესასწაულზე ჩამოსულ სტუმრებს ჩვენი ქალაქისა და მისი მიდამოების ისტორიის გაცნობაში.

თბილისის მიდამოების ამსახველ გზამკვლევზე მუშაობენ ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატები რ. შმერლინგი და ვ. დოლიძე. ისინი სიხტემატურად სწავლობენ თბილისის გარეუბნების ხუროთმოძღვრულ ძეგლებს ადგილზე. უკვე შეგროვებული და გამოსაცემად მომზადებულია მასალები, როგორც უკვე ცნობილი, ისე აქამდე უცნობი ძეგლების შესახებ. მათ შესასწავლად ჩატარებულია ხუროთმოძღვრული აზომვები, ფოტოფიქსაცია, ჩანახატები. ეს ძეგლები იძლევიან დამატებით მასალას თბილისის გარეუბნების მოსახლეობის მრავალმხრივი საქმიანობის შესახებ.

ერთ-ერთი ექსპედიციის დროს რ. შმერლინგმა და თ. ბარნაველმა სოფელ გლდანიდან 2 კილომეტრის დაშორებით ხშირი ფოთლოვანი ტყით დაფენილ მთის კალთაზე აღმოაჩინეს შენობის ნანგრევები. ადგილობრივი მცხოვრებნი მას „ციხეს“ უწოდებენ. მაგრამ როგორც შემორჩენილი ნაგებობის არქიტექტურის შესწავლით გამოირკვა, აქ უნდა ყოფილიყო სახალხო. ეს ადგილი დასახლებული რომ ყოფილა, ამაზე მიუთითებს სასახლის გარშემო არსებული შენობების საძირკველი, გავლურებული ვაზის, ხეხვადასხვა ხეხილის ჯიშები,



იქვე მახლობლად მდებარე პატარა ეკლესია.

თვით შენობა წარმოადგენს წაგრძელებულ დარბაზს, რომელსაც დასავლეთით და აღმოსავლეთით ორი შეხახსნელი ჰქონია. დარბაზის წინა ხედი ხეობას გადმოჰყურებს. ერთი გრძივი კედლის ნანგრევთა შორის შემორჩენილია კედლის სვეტის ფრაგმენტი. მის ერთ წახნაგზე გამოსახულია რელიეფური მარჯვენა, ხოლო წინა პირზე ამოკვეთილია ჯვარი.

დარბაზის სიმყარისათვის ამოყვანილია კედელი, რომელიც გამაგრებულია სამი კოშკური ნაგებობით. აქვე კედელში აღმოჩნდა წყალსადენის მილები. ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით აქ წყალი გამოყვანილი იყო დიდველის მთიდან, ეგრეთწოდებული „ღარიბი წყლის“ წყაროდან. წყალსადენი გაყვანილი იყო ფიფილა სოფლამდე, რასაც მოწმობს სასახლიდან მოყოლებული მთელ მანძილზე მიწაში ნაბახი კერამიკული მილები. ასეთი ტიპის წყალსადენი საქართველოში გავრცელებული ყოფილა შუა საუკუნეებში.

როგორც ნაგებობისათვის გამოყენებული საშენი მასალისა და მისი დამუშავების, ისე კონსტრუქციისა და მხატვრული მიდგომის მიხედვით მკვლევარნი ახლად აღმოჩენილ სასახლეს ქართული ხუროთმოძღვრების VIII-IX საუკუნის მსგავს ძეგლთა ჯგუფს მიაკუთვნებენ.

საქართველოს ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი წელს შეუდგება ამ ძეგლის გაწმენდას, რაც საშუალებას მისცემს მკვლევართ დეტალურად შეისწავლონ ნაგებობის ცალკეული ნაწილები, დაადგინონ გეგმა და უფრო სრულად გამოავლინონ ძეგლის მხატვრულ-არქიტექტურული სახე.

ლ. ტატიშვილი.

* * *

სურათზე: ახლად აღმოჩენილი სასახლის კედლის სვეტის ფრაგმენტი.

ირანელი მოკრივეები თბილისში

სსრ კავშირში სტუმრად იმყოფება ირანის მოკრივეთა კოლექტივი, რომელსაც ხელმძღვანელობს ირანის კრივის ფედერაციის თავმჯდომარე ამირ ალია.

ირანელი სპორტსმენები პირველად ბაქოს ეწვევნენ. აქ მათ დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი და 10 აპრილს გამართეს საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა აზერბაიჯანის ნაკრებ გუნდთან.

ყველა წონითს კატეგორიაში ბრძოლა შეუპოვარი და საინტერესო იყო. სტუმრებმა გამოამეღავნეს კარგი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება. ეს საინტერესო შეჯიბრება დამთავრდა აზერბაიჯანის მოკრივეთა ნაკრები გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 14 : 13.

გუშინ ირანელი მოკრივეები თბილისში ჩამოვიდნენ. რკინიგზის სადგურზე სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოეწყეს, თაიგულები უძღვნეს. ირანელ სპორტსმენები თბილისში რამდენიმე დღეს დარჩებიან.

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი კრივში ირანისა და საქართველოს გუნდებს შორის გაიმართება 15 აპრილს.

* * *

სურათზე: ირანის სპორტული დელეგაცია თბილისის რკინიგზის სადგურზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მაღე გაიმართება ვირაჟი

როგორც ცნობილია, 1958 წლის 20-23 აპრილს თბილისში შედგება ფულისა და ნივთების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა კომისია ტირაჟის ჩასატარებლად. კომისიის თავმჯდომარეა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მელაძე. კომისიის შემადგენლობაში შედიან პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, შრომის მოწინავენი, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები.

ტირაჟი გაიმართება თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

რედაქტორი პ. რატიანი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება

ბერლინი, 11 აპრილი. (საკდესი). როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული პრესის უწყება იტყობინება, გუშინ გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის საგანგებო სხდომა. სხდომის შემდეგ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ „პრეზიდიუმი დიდი კმაყოფილებით მიესალმება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას საბჭოთა კავშირში 1958 წლის 31 მარტიდან ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

ეს ინიციატივური ღონისძიება ახალი დამადასტურებელია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ენერგიული მეცადინეობისა ყველა დაბრკოლების მიუხედავად შექმნას ყველა სახელმწიფოს შორის ნდობის ატმოსფერო, შეასუსტოს საერთაშორისო დაძაბულობა და ამით ხელი შეუწყოს მშვიდობის უზრუნველყოფას“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი აგრეთვე შეწყვეტენ ატომგულის იარაღის გამოცდას.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე გერმანული სახელმწიფოსათვის და მთელი გერმანელი ხალხისათვის, — ნათქვამია შემდეგ განცხადებაში. — ბონის ბუნდესტაგის მიერ 1958 წლის 25 მარტს მიღებული გადაწყვეტილება ნატოს დასავლეთ გერმანიის არმიის ატომური იარაღით აღჭურვის შესახებ იწვევს ახალ ომში ატომური საკვდილის საფრთხეს.

საჭიროა ყოველგვარი საშუალებით წინააღმდეგობა გავუწიოთ ასეთ განვითარებას. ატომგულის იარაღის ყოველგვარი გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტა როგორც პირველი ნაბიჯი, რომელსაც უნდა მოჰყვეს შემდგომი გადამწყვეტი ნაბიჯები ატომური ომისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, შექმნის აგრეთვე გერმანელი ხალხისათვის ხელსაყრელ წინამძღვრებს, რათა ხელი შეუშალოს საშიშ განვითარებას დასავლეთ გერმანიაში.

რა თქმა უნდა, საერთაშორისო ატმოსფეროს ყოველგვარი, უმნიშვნელოდ გაუმჯობესებაც კი და საერთაშორისო დაძაბულობის ყოველგვარი შენელება აძლიერებს იმის შესაძლებლობას, რომ ორივე არსებული გერმანული სახელმწიფოს კონფედერაციის მეშვეობით დაახლოებისა და შეთანხმების გზით ხელი შეეწყოთ გერმანიის მშვიდობიან დემოკრატიულ გაერთიანებას და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას“.

განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კისრულობს ვალდებულებას მთელი ძალღონით, ყველა პუნქტში და ყოველგვარი ფორმით მხარი დაუჭიროს დიად საბჭოთა ინიციატივას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას მიმართოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას წინადადებით ერთობლივად უპასუხონ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივას.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ტირანა, 11 აპრილი. (საკდესი). ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილების გამო.

ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას, ნათქვამია, კერძოდ, განცხადებაში, დიდი სიხარულითა და ენთუზიაზმით შეხვდა მთელი ალბანელი ხალხი. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, გამოთქვამს რა ალბანელი ხალხის დიდ გრძნობებს, სავსებით იწონებს და კმაყოფილებით მიესალმება საბჭოთა კავშირის ამ ისტორიულ ინიციატივას.

საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ნაბიჯია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის, დაძაბულობის შენელებისა და გაღიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თავის ხმას უერთებს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ საბჭოთა კავშირის მთავრობის მიმართვას ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებისადმი. ალბანეთის მთავრობა რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა კავშირის მიმართვაზე ამ მთავრობათა დადებითი პასუხი სწორი ნაბიჯი იქნება, რომელსაც დადებითად შეხვდება საზოგადოებრივი აზრი, მაშინ როცა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტაზე მათი უარისთქმა არა მარტო ვერ ჰპოვებს გამართლებას, არამედ გამოიწვევს ხალხთა გულისწყრომას, და ამ მთავრობებს დაეკისრებათ მძიმე პასუხისმგებლობა.

საქართველოდან გაემგზავრა ბელგიელ ქალთა დელეგაცია

საქართველოში რამდენიმე დღეს იყო სტუმრად ბელგიის უმაღლესი განათლების მქონე ქალთა ფედერაციის დელეგაცია ჭ-ნ სტელა ვოლფის მეთაურობით. დელეგაციის წევრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს. მათ დაათვალიერეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატები, იყვნენ 23-ე საშუალო სკოლაში, სადაც დაინტერესდნენ სწავლისა და მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებით.

ბელგიის ქალთა წარმომადგენლებს საუბარი ჰქონდათ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძესთან.

სტუმრები იყვნენ მცხეთაში, ხოლო შემდეგ გაემგზავრნენ გაგრაში. აქედან ისინი 11 აპრილს აღლერს წავიდნენ.

(საქდესი).

საერთაშორისო ასტრონომიული კონგრესი 1958 წლის უდიდესი მეცნიერული მოვლენაა

საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გენერალურმა მდივანმა პროფესორმა პეტერ ოოსტერჰოფმა, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში საერთაშორისო ასტრონომიული კონგრესის მომზადებასთან დაკავშირებით, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

— ასტრონომიას შესაძლებელი. უფრო მეტადაც კი, ვიდრე სხვა ზუსტ მეცნიერებას, ესაჭიროება მუდმივი საერთაშორისო სამეცნიერო კოოპერაცია, მეცნიერული კვლევის გეგმების შეთანხმება, დაკვირვების შედეგების გაზიარება.

საერთაშორისო ასტრონომიული კავშირი შეიქმნა 1919 წელს. ამჟამად კავშირში შედის 39 ქვეყანა. საბჭოთა კავშირს მათ შორის უკავია ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი, ხოლო საბჭოთა ასტრონომიის წარმატება საყოველთაო აღიარებით სარგებლობს.

მუშაობა მოსკოვის მომავალ კონგრესზე ძირითადად იწარმოებს საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის 40 მუდმივ კომისიაში, რომლებიც განაგებენ ასტრონომიის მეცნიერების სხვადასხვა დარგში კვლევის კოორდინაციის საკითხებს.

ყრილობის პროგრამაში შეტანილია მეცნიერული სიმპოზიუმები შემდეგ პრობლემებზე: „დედამიწის ბრუნვა და დროის ატომური სტანდარტები“, „ვარსკვლავთა სიკაშკაშის კავშირი მათს ტემპერატურებთან“. იქნება აგრეთვე მთელი რიგი დისკუსიები ასტრონომიის აქტუალურ პრობლემებზე.

მაგონდება, თუ რა მღელვარება იყო ჩვენს სამშობლოში, ჰოლანდიაში, როცა დედამიწის საბჭოთა თანამგზავრმა პირველად გადაუარა ჩვენს ქვეყანას. ახალ მეთოდებს, რომლებსაც თანამგზავრები მეცნიერების წინაშე სახავენ, შეუძლიათ გასცენ პასუხი პლანეტთაშორის არსებული სივრცის, მზის გამოსხივების შესწავლისა და სხვა საკითხებზე.

უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვებზე, პროფესორმა ოოსტერჰოფმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ღონისძიებანი, რომლებსაც საბჭოთა კავშირში ახორციელებენ კონგრესის მოსამზადებლად, მის წარმატებით მოწყობას გვიქადიან.

საერთაშორისო ასტრონომიული კონგრესი მოსკოვში, თქვა პროფესორმა ოოსტერჰოფმა, 1958 წლის უდიდესი მეცნიერული მოვლენა იქნება. (საქდესი).

ДОЛЕ

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ზავი (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი (დღისით), ნანა (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — გვიანი სიყვარული (დღისით), სიყვარული საშუდამოდ (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — კომბლე (დღისით), დალი (საღამოს), **სომხური დრამის** — ოქროს ქალაქი (დღისით), ოტელო (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გამომგონებლები (12 ს., ან. № 10), ზავი ბიჭი (7 ს., ან. № 31), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უეცარი სიმდიდრე (11 ს., ან. № 38), სომბრერო (3 ს. 30 წ. ან. № 41), **თოჯინების ქართული** — ბკუა და გამოცდილება (11 ს.), დათუნიას სამართალი (2 ს.).

მეუღლე სოფიო, შვილები ოსებ, დავით, მარიამ, ისაკი, ნინა, ლადო, გიორგი, ანა, ვალერიან, შოთა იუწყებიან

მიხეილ ოსებიძე-ბოშაბაევის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-IV, 3 ს. სოფ. ძველ ქანდაში (მცხეთის რ.).

შვილები თამარ, ალექსანდრე, რძალი ლ. სოხაძე, სიძე ბ. გოგიჩაიშვილი; ვლადიმერ, ლენა, ბარამ ოჯახებით იუწყებიან

მარიამ ოსების ასულ ბარამიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-IV, 8 ს. გამოსვენება 15-IV, 4 ს. ძერჟინსკის ქ. № 14.

შვილები სერგო, გალინა, ლიდა, ანა, თამარ, რძლები შუშანა, თამარ, სიძეები ვ. ესაკია, კ. ამედაშვილი, შ. ცომაია ოჯახებით იუწყებიან

პელაგია მოსეს ასულ ჯალამაძე-გოგავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-IV, 5 ს. სოფ. გეზათში (აბაშის რ.).

მეუღლე